# სსიპ – დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის ავტორიზაციის დასკვნა


ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ჟან, ჟაკ, ჟ. მარსია, ევროპის თავდაცვის კომპანიის (S€D) AISBL პრეზიდენტი, ბელგია

წევრები:

ია მოსაშვილი - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, კომპიუტერული მეცნიერების სკოლის ასოცირებული პროფესორი, საქართველო

ნათია ჭიღვარია - სადოქტორო პროგრამების ხელმძღვანელი; საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA), საქართველო

ქრისტინა რზგოევა - დამსაქმებელი ექსპერტი, საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული განყოფილების უფროსი

მარიამ გორგოძე - სტუდენტი ექსპერტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.



თბილისი

2022

## ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

### ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ეროვნულ თავდაცვის აკადემიაში (აკადემია) მიწოდებული განათლება და სწავლება ემთხვევა ზოგადად საქართველოს საჭიროებებს, შეესაბამება გეოპოლიტიკურ კონტექსტს, ისევე როგორც საქართველოს შეიარაღებული ძალების სპეციფიკურ საჭიროებებს. დღევანდელ გეოპოლიტიკურ კონტექსტში, რომელიც გამწვავებულია რუსეთის ომით უკრაინასთან, შეიარაღებული ძალების ოფიცრების შესანიშნავი მომზადება აუცილებელია საქართველოს უსაფრთხოებისა და თავდაცვისთვის. მიუხედავად იმისა, რომ დამსაქმებლის, თავდაცვის შტაბის მიერ ბაკალავრის ხარისხის ოფიცრების დონე ძალიან დამაკმაყოფილებლად მიიჩნევა, მიზანშეწონილად ჩაითვალა, რომ აკადემია ასევე პასუხისმგებელი უნდა იყოს სამაგისტრო ხარისხის უზრუნველყოფასა და კვლევითი ცენტრის განვითარებაზე, მეტი სამეცნიერო სწავლების უზრუნველსაყოფად. იმის გათვალისწინებით, რისი რეალიზებაც ბრიუსელში, სამეფო სამხედრო სკოლამ შეძლო 2004 წლიდან, ამან შესაძლოა გზა გაუკვალოს სადოქტორო სწავლებას, თუკი აკადემია გაჰყვება კარგად მოფიქრებულ განვითარების გეგმას და განავითარებს საჭირო ეროვნულ და საერთაშორისო პარტნიორობას. ჩვენი რჩევაა ორმაგი სადოქტორო პროგრამების განხორციელება. ისინი ხელს უწყობენ საუნივერსიტეტო, სამოქალაქო-სამხედრო და/ან საერთაშორისო თანამშრომლობას.

### დაწესებულებაში განხორციელებული საავტორიზაციო ვიზიტის მოკლე მიმოხილვა

ვიზიტი მოიცავდა რამდენიმე შეხვედრას აკადემიის რექტორთან, რექტორის მოადგილეებთან, დეკანებთან, აკადემიის კაპელანთან და სერჟანტთან, აკადემიური საბჭოს, G1-G6-ის სამსახურების, მათ შორის დაგეგმვის განყოფილების, უსაფრთხოების სამსახურის, MDTD-ისა და CTDT-ის წარმომადგენლებთან, ასევე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, კანცელარიის, შიდა აუდიტისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტების, იუნკერთა სასწავლო ბატალიონის, TSDC-ის, SPTC-სა და ენის მომზადების დეპარტამენტის, ბიბლიოთეკის, გამოცდების და დისტანციური სწავლების ცენტრების და სამეცნიერო კვლევითი ცენტრის წარდმომადგენლებთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, (მათ შორის მაგისტრატურის ხელმძღვანელებთან), მოწვეულ პედაგოგიურ პერსონალთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ე.წ. „უზრუნველყოფის სერვისების“ ან მომარაგების სამსახურის წარმომადგენლებთან, სტუდენტ სპიკერებთან - თითო დარგში თითო სტუდენტით, დამსაქმებლებთან Visio კონფერენციის დამხმარებით. ვიზიტი, ასევე, მოიცავდა მთელი დაწესებულების ინფრასტრუქტურის დათვალიერებას.

### უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

### რეკომენდაციები

#### სტანდარტი 1 - უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება:

1. აკადემიამ უნდა შეასწოროს თავისი მისიის განაცხადი, გახადოს ის უფრო კონკრეტული და თავსებადი სტრატეგიულ გეგმასთან;
2. აკადემიამ მისიის განაცხადში უნდა განსაზღვროს თავისი როლი და ადგილი, ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე უმაღლესი განათლების ზოგადი სურათის კონტექსტის, ტენდენციებისა და გამოწვევების უკეთ ასახვით;
3. აკადემიამ სამოქმედო გეგმაში უნდა განსაზღვროს ზუსტი გაზომვადი მიზნები და შესრულების ძირითადი ინდიკატორები.

**სტანდარტი 2 - უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა:**

4. დეკანის და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობა უნდა დაიკავოს სხვადასხვა ადამიანმა შესაბამისი სამუშაო აღწერილობით: დეკანები პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ სწავლებისა და კვლევის წარმოებაზე; პროგრამების ხელმძღვანელებმა უნდა მართონ სასწავლო პროცესები;
5. ეროვნული თავდაცვის აკადემიის წარმომადგენლებმა სრულად უნდა გააცნობიერონ ხარისხის კულტურის მნიშვნელობა დაწესებულებისთვის და საჭიროა ყველას ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებულ პროცესებში.

**სტანდარტი 3 - საგანმანათლებლო პროგრამები:**

6. საბაკალავრო პროგრამებზე (სამოქალაქო კურსები) მეტი პრაქტიკული მუშაობა უნდა განხორციელდეს;
7. სამაგისტრო პროგრამებისთვის აუცილებელია კვლევის კომპონენტების გაძლიერება.

**სტანდარტი 4: პერსონალი**

**სტანდარტი 5 - სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები:**

8. რეკომენდებულია მაგისტრატურის საფეხურზე მობილობის წესის შესწორება მოქმედი რეგულაციების შესაბამისად;
9. სამეცნიერო კვლევით პროექტებში ჩართული უნდა იყვნენ როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის (განსაკუთრებით მაგისტრატურის) სტუდენტები;
10. კარიერული მხარდაჭერის მექანიზმების გასაძლიერებლად და გასამრავალფეროვნებლად, ასევე დასაქმების შესაძლებლობებისთვის, განსაკუთრებით სამოქალაქო სექტორში, უნდა დაინერგოს კარიერული განვითარების ცენტრი/ერთეული;
11. უნდა გაძლიერდეს და გაუმჯობესდეს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები, განსაკუთრებით, მაგისტრატურის სტუდენტებისთვის.

**სტანდარტი 6 - კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა:**

12. ეროვნულ თავდაცვის აკადემიას სჭირდება ძლიერი პოლიტიკა დაწესებულების კვლევითი შესაძლებლობების განვითარებისთვის;
13. აკადემიამ უნდა განამტკიცოს კვლევითი სტრატეგიის თანმიმდევრული განხორციელება;
14. აკადემიამ უნდა შეიმუშაოს გაზომვადი კრიტერიუმები აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისთვის.

**სტანდარტი 7 - მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები:**

15. აუცილებელია ყველა შენობაში საევაკუაციო ნიშნების განთავსება;
16. ყველა შენობას უნდა ჰქონდეს ავარიული გასასვლელები;
17. არქივი დროულად უნდა განახლდეს დოკუმენტების ნორმალური განთავსებისა და მონაცემთა ბაზების მუშაობის უზრუნველსაყოფად;
18. სახანძრო უსაფრთხოების გეგმა უნდა დაამტკიცოს საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა;
19. ყველა შენობა და ავტოსადგომი ადაპტირებული უნდა იყოს შშმ პირებისთვის;
20. აკადემიამ ან უნდა შეწყვიტოს ლექციების ვიდეო მონიტორინგი, ან გამონაკლისი შემთხვევის დადასტურების შემთხვევაში, ამის შესახებ აცნობოს ყველა სტუდენტს და პერსონალს და მოითხოვოს ამის დამადასტურებელი ხელმოწერა და ყველგან, სადაც ვიდეო მონიტორინგი ტარდება, უნდა განათავსოს სპეციალური ნიშნები;
21. ბიბლიოთეკარმა და ყველა პასუხისმგებელმა პირმა უნდა მიიღოს განახლებული კანონმდებლობა ან მიეცეთ წვდომა მონაცემთა ბაზაზე, რათა უზრუნველყონ სტუდენტები კანონმდებლობის განახლებული ვერსიებით.

**რჩევების შეჯამება**

**სტანდარტი 1 - უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება:**

ეროვნული თავდაცვის აკადემიამ უნდა:

- გააფართოვოს ლიდერობის სწავლება სამხედრო კონტექსტის მიღმა;
- გამოიყენოს კვლევაზე დაფუძნებული მიდგომა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შედეგები დაწესებულების სუსტი და ძლიერი მხარეების დასადგენად;
- გაზარდოს იუნკერების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართულობა და მონაწილეობა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში;
- სისტემატიურად შეიმუშაოს, თანამშრომლების საჭიროებებზე/მოთხოვნებზე დაფუძნებული, მიზნობრივი მოკლევადიანი სასწავლო კურსები.

**სტანდარტი 2 - უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა:**

- ექსპერტთა ჯგუფი აკადემიის ურჩევს მოიძიოს მეტი დაინტერესებული მხარე, რადგან ის აერთიანებს სამხედრო და სამოქალაქო განათლების კომპონენტებს;
- აკადემიის ეთიკის კოდექსი საჭიროებს გარკვეულ გაუმჯობესებას კვლევის ეთიკის შესახებ მეტი ინფორმაციის დამატებით (რადგან ეს მხოლოდ პლაგიატს არ ეხება) და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის დისკრიმინაციის ასპექტების შესახებ შესაბამისი მუხლის შემუშავებით.

**სტანდარტი 3 - საგანმანათლებლო პროგრამები:**

- პროგრამის შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაზრდის მიზნით, პროცესმა მოიცვას სტუდენტები, კურსდამთავრებულები და შრომის ბაზრის წარმომადგენლები.

**სტანდარტი 4: პერსონალი:**

**სტანდარტი 5 - სტუდენტები და მათი მხარდაჭერის სერვისები:**

- სასურველია აკადემიამ შეინარჩუნოს უკეთესი კავშირი კურსდამთავრებულებთან და მეტად ჩართოს ისინი თვითშეფასების პროცესებში.

**სტანდარტი 6 - კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა:**

- კვლევითმა ცენტრმა უნდა მოიზიდოს მეტი პარტნიორი და განახორციელოს ერთობლივი კვლევითი პროექტები;
- კვლევის ეთიკა უნდა იყოს შემუშავებული და დოკუმენტირებული;
- აკადემიამ ინტერნაციონალიზაციის პროცესი უნდა გახადოს სისტემატური;
- აკადემიამ უნდა გამოაცხადოს შიდა საგრანტო კონკურსი წელიწადში ორჯერ მაინც და შეიმუშაოს გამჭვირვალე და სამართლიანი ინდიკატორები კვლევითი განაცხადების შესაფასებლად;
- აკადემიამ SWOT ანალიზში „კვლევის მწირი დაფინანსება“ უნდა მიუთითოს სუსტ მხარედ და არა შესაძლებლობად.

**სტანდარტი 7 - მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები:**

- საევაკუაციო გეგმა უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე.

## საუკეთესო პრაქტიკის შეჯამება

**სტანდარტი 1 - უსდ-ს მისია და სტრატეგიული განვითარება:**

- საგანმანათლებლო და სამხედრო კომპონენტების წარმატებული კომბინაცია აძლიერებს სამხედრო სამსახურისთვის შესაბამისი კადრების უზრუნველყოფას.
- ექსპერტთა ჯგუფი აღფრთოვანებული დარჩა აკადემიის ტრანსფორმაციული შესაძლებლობებით - აკადემიას აქვს ხანგრძლივი ტრადიცია და იგი მტკიცედ არის ორიენტირებული სამომავლო განვითარებაზე და ახალი ხარისხის კულტურის აშენებაზე.

**სტანდარტი 2 - უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა:**

- ხარისხის უზრუნველყოფის სერვისმა ოფიციალური გახადა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები.

**სტანდარტი 3 - საგანმანათლებლო პროგრამები:**

**სტანდარტი 4: პერსონალი:**

**სტანდარტი 5 - სტუდენტები და მათი მხარდამჭერი სერვისები:**

- აკადემიამ შეიმუშავა უამრავი აქტივობა სწავლების მიმზიდველობისა და სტუდენტების დონის ასამაღლებლად: საზაფხულო სკოლები, გაცვლითი პროგრამები, სტიპენდიები, უფასო სწავლა, კამპუსში განთავსება, შესანიშნავი ინფრასტრუქტურა.

**სტანდარტი 6 - კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**

**სტანდარტი 7 - მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები:**

- ეროვნული თავდაცვის აკადემიას აქვს კარგად განვითარებული საცხოვრებელი, საავადმყოფო, რეკრეაციული და სპორტული ობიექტები.

## შემაჯამებელი ცხრილი

| | **სტანდარტი** | **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** | **არ შეესაბამება მოთხოვნებს** |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | **უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 1.1 | უსდ-ის მისია | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 1.2 | სტრატეგიული განვითარება | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| **2.** | **უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 2.1 | ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 2.2 | ხარისხის შიდაუზრუნველყოფის მექანიზმები | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 2.3 | ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3. | **საგანმანათლებლო პროგრამები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3.1 | საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 3.3 | სწავლის შედეგების შეფასება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 4 | **უსდ-ის პერსონალი** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 4.1 | პერსონალის მართვა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 4.2 | აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 5 | **სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 5.1 | სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ცვლილების წესი, განათლების აღიარება და სტუდენტთა უფლებები | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 5.2 | სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 6 | **კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა** | ☐ | ☐ | ☒ | ☐ |
| 6.1 | კვლევითი საქმიანობა | ☐ | ☐ | ☒ | ☐ |
| 6.2 | კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია | ☐ | ☐ | ☒ | ☐ |
| 6.3 | კვლევითი საქმიანობის შეფასება | ☐ | ☐ | ☒ | ☐ |
| 7 | **მატერიალური, ინფორმაციული და ფინანსური რესურსები** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 7.1 | მატერიალური რესურსები | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 7.2 | საბიბლიოთეკო რესურსები | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 7.3 | ინფორმაციული რესურსები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 7.4 | ფინანსური რესურსები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. მარსია , ჟან, ჟაკ, ჯ. (თავმჯდომარე)

2. მოსაშვილი ია, (წევრი)

3. ნათია ჭილვარია (წევრი)

4. რზგოევა, ქრისტინა (წევრი)

5. გორგოძე, მარიამი (წევრი)

# უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

## 1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

| 1.1 უსდ-ის მისია |
|---|
| ○ უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემია არის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ეს არის ერთადერთი უმაღლესი სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში, რომელიც ახორციელებს აკადემიურ, პირველი და მეორე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს უმაღლესი სამხედრო საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის შესაბამისად. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების გარდა ახორციელებს უმცროს ოფიცერთა მომზადების საკანდიდატო კურსს. აკადემიაში მიწოდებული განათლება და სწავლება ემთხვევა ზოგადად საქართველოს საჭიროებებს, შეესაბამება გეოპოლიტიკურ კონტექსტს, ისევე როგორც საქართველოს შეიარაღებული ძალების სპეციფიკურ საჭიროებებს. უმაღლესი განათლებისა და სამხედრო კომპონენტების შერწყმის იდეა აძლიერებს სამხედრო სამსახურისთვის შესაბამისი კადრების უზრუნველყოფას.<br><br>აკადემიის მისიის განაცხადი ასეთია: „აკადემიის მისიას წარმოადგენს ქვეყნისა და სამინისტროსათვის ღირსეული, მაღალი ეთიკის, მტკიცე მორალისა და ლიდერის თვისებების მქონე ოფიცერთა კორპუსის მომზადება, რომელთაც აქვთ სამხედრო და აკადემიური უმაღლესი განათლება“.<br>მისიის განცხადებაში აკადემია განსაზღვრავს თავის ინსტიტუციურ როლს ადგილობრივად, მაგრამ ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე ვიზიტის დროს და სხვა ოფიციალური დოკუმენტების გაცნობიდდან დააზუსტა, რომ დაწესებულება ხედავს თავის როლს რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე, რაც ასევე ასახულია ხედვაში. თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ აკადემიას აქვს ამბიცია გახდეს წამყვანი, კონკურენტუნარიანი სამხედრო ინსტიტუტი რეგიონში, გარდა ამისა, „აკადემიას აქვს საპასუხისმგებლო როლი და ადგილი ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე“. აკადემიის შინაგანაწესში, მეხუთე მუხლში, ექსპერტთა ჯგუფი კითხულობს, რომ დაწესებულების ერთ-ერთი მიზანია სამეცნიერო კვლევების განვითარება და მხარდაჭერა ადგილობრივად და ადგილობრივი და საერთაშორისო ერთობლივი სამეცნიერო კვლევითი პროექტებისა და პროგრამების განხორციელება.<br>უმაღლესი სასწავლებლის მისიის განაცხადი შეესაბამება საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების მიზნებს, ამზადებს ოფიცრებს ევროპული უმაღლესი განათლების |

| |
|---|
| მოთხოვნების საფუძველზე. ნატოს წარმომადგენლები DEEP-დან (თავდაცვითი განათლების გაუმჯობესების პროგრამა) აქტიურად უჭერენ მხარს აკადემიას საგანმანათლებლო პროგრამებისა და ტრენინგების გაუმჯობესებაში. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია აკადემიისა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლების შესაბამისად. თუმცა, ადგილზე ვიზიტისას აკადემიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ხედვასა და სტრატეგიულ გეგმას რექტორი ყოველწლიურად ადგენს, თუ ამ პროცესში მთელი პერსონალი არ არის ჩართული, დაწესებულებამ უნდა აცნობოს მათ სტრატეგიული გეგმის შესახებ.<br><br>აკადემიამ ცალკე შეიმუშავა ლიდერობის პროგრამა, რათა უპასუხოს მისიის განაცხადს, თუმცა აკადემიისთვის ლიდერობა ეხება წმინდა სამხედრო ასპექტებს. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ თუ დაწესებულება ცდილობს გააერთიანოს სამხედრო და სამოქალაქო განათლება, უფრო აქტუალური იქნება ლიდერობის სრული კონტექსტით აღქმა. მიუხედავად იმისა, რომ მისიის განაცხადი განსაზღვრავს შესაბამის შედეგებს, ის მაინც სუსტია ზოგადი აკადემიური პროფილის დახასიათებაში. იგი მოიცავს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მთავარ კონცეფციას, ისევე როგორც სამხედრო ასპექტს, თუმცა მისიის არსებული ფორმატი და ფორმულირება სრულად არ შეესაბამება იმას, რასაც ზოგადი თეორია და პრაქტიკა გვთავაზობს.<br><br>გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ აკადემიამ გააცნობიეროს სტრატეგიული პოტენციალი, რომ მოკლე, კონკრეტული, წინდახედული მისია მოიცავს როგორც სტრატეგიულ დაგეგმვას, ასევე მისი უნიკალურობის ხელშეწყობას. აკადემიამ უკეთ უნდა განსაზღვროს თავისი როლი და ადგილი უმაღლესი განათლების სივრცეში, როგორც ეროვნულ, რეგიონულ თუ საერთაშორისო დონეზე, კონტექსტის, ტენდენციებისა და გამოწვევების გათვალისწინებით, რომელსაც ეს დონეები გულისხმობს. მისიის გადახედვისას დაწესებულებამ უნდა ჩაატაროს კომპლექსური საკონსულტაციო პროცესი, რომელშიც მონაწილეობენ როგორც გარე, ასევე შიდა დაინტერესებული მხარეები. ადგილზე ვიზიტმა აჩვენა, რომ მისიის განაცხადს იზიარებს საუნივერსიტეტო საზოგადოება. საშუალო რგოლის ხელმძღვანელობამ, სტუდენტებმა და ადმინისტრაციამ იციან მისიის შესახებ. |
| **მტკიცებულელებები/ინდიკატორები**<br>- მისიის განაცხადი; დანართი 1.1;<br>- აკადემიის შინაგანაწესი; დანართი 2.1.9;<br>- ეროვნული თავდაცვის აკადემიის თვითშეფასების ანგარიში;<br>- ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების შედეგები;<br>- აკადემიის 2021-2027 წლების სტრატეგიული გეგმა (7 წლიანი); დანართი 1.1 |
| **რეკომენდაციები:**<br>- აკადემიამ უნდა შეასწოროს თავისი მისიის განაცხადი, გახადოს ის უფრო კონკრეტული და თავსებადი სტრატეგიულ გეგმასთან;<br>- აკადემიამ მისიის განაცხადში უნდა განსაზღვროს თავისი როლი და ადგილი, ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე უმაღლესი განათლების ზოგადი სურათის კონტექსტის, ტენდენციებისა და გამოწვევების უკეთ ასახვით. |
| **რჩევები:**<br>- გაფართოვდეს ლიდერობის სწავლება სამხედრო კონტექსტის მიღმა. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):** |

- საგანმანათლებლო და სამხედრო კომპონენტების წარმატებული კომბინაცია აძლიერებს სამხედრო სამსახურისთვის შესაბამისი კადრების უზრუნველყოფას.

**შეფასება**

მონიშნეთ უჯრედი, რომელიც ყველაზე მეტად ასახავს დაწესებულების შესაბამისობას სტანდარტის მოცემული კომპონენტთან

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

## 1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების (7-წლიანი) და სამოქმედო (3-წლიანი) გეგმები.
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას დაწესებულებაში დაგროვებულ ცოდნას და ხელს უწყობს უწყვეტ განათლებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

აკადემიას შემუშავებული აქვს სტრატეგიული გეგმა 2021-2027 წლებისათვის, რომელიც მოამზადა აკადემიის აკადემიური საბჭოს მიერ სპეციალურად ამ მიზნით შექმნილმა უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფმა. შესაბამისად, გეგმა დაამტკიცა აკადემიურმა საბჭომ და შემდეგ გადაიგზავნა თავდაცვის სამინისტროში საბოლოოდ დასამტკიცებლად. ჯგუფი შედგება 23 ადამიანისგან, მათ შორის G-5, G-1 G-4 და G-3 ხელმძღვანელების და სპეციალისტებისგან, ასევე, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის პროგრამების ხელმძღვანელებისგან. ასევე, ჯგუფი მოიცავს ბიბლიოთეკის უფროსს, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის უფროსს და მოადგილეს, ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის უფროსს და სპეციალისტს, ინგლისური და ფრანგული ენების მასწავლებლებს, სამეცნიერო კვლევითი ცენტრის სპეციალისტს, შესყიდვების დეპარტამენტის უფროსს და ა.შ. ჯგუფმა სტრატეგიული გეგმა შექმნა SWOT ანალიზის საფუძველზე. სტრატეგიული ჩარჩო მოიცავს შემდეგ სტრატეგიულ მიზნებს:

1) ლიდერობის უნარის მქონე ოფიცრების მომზადება;

2) საგანმანათლებლო კომპონენტის განვითარება (სამხედრო/აკადემიური);

3) ეფექტური კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობა;

4) ინტერნაციონალიზაცია;

5) იუნკერის/მსმენელთა სერვისების განვითარება;

6) აკადემიის შესახებ ცნობადობის ამაღლება;

7) ორგანიზაციული მართვისა და კონტროლის განვითარება.

ამავე ჯგუფმა მოამზადა სამოქმედო გეგმა 2021-2023 წწ. ორივე გეგმა 2021 წელს არის მიღებული. მოწოდებულ დოკუმენტებში ექსპერტთა ჯგუფს აქვს 2021-2027 წლების სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი შვიდი სტრატეგიული მიზნით, ხოლო

ვებგვერდზე ვიპოვეთ 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა რვა მიზნით და ასევე, სამოქმედო გეგმა შვიდი წლისთვის.

დოკუმენტის „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის წესის“ მიხედვით, მიზნებისა და აქტივობების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება ყოველკვარტალურად, ხოლო ბოლო ანგარიში მზადდება მესამე და მეოთხე კვარტლის ბოლოს. მონიტორინგის საბოლოო ანგარიშები წარედგინება აკადემიურ საბჭოს წელიწადში ორჯერ, რომელიც განიხილავს შედეგებს და ამზადებს საბოლოო წლიურ ანგარიშებს რექტორთან. არაგეგმიური მონიტორინგი შესაძლებელია განხორციელდეს, თუ ის თავდაცვის სამინისტროს ან აკადემიური საბჭოს დაკვეთით არის განხორციელებული ან სტრატეგიულ გეგმაში ან სამოქმედო გეგმაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია შეტანილი.

აკადემია  გეგმავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების ყოველწლიურად შეფასებას; წარმოდგენილი ანგარიშიდან ირკვევა, რომ აკადემიამ ბოლო ორი წლის განმავლობაში ბევრი გააკეთა სამოქალაქო განათლების განვითარების კუთხით. პანდემიასთან დაკავშირებული ვითარება სერიოზულ დაბრკოლებად იქცა გარკვეული მიზნების განხორციელებაში.

მართალია სამოქმედო გეგმა მიზნად ისახავს სტრატეგიული გეგმის მოკლევადიანი განხორციელების მხარდაჭერას, ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ მიზნები ზოგადია და სამოქმედო გეგმის ყველა მიზანი არ არის გაზომვადი. მაგალითად, ლიდერობა არ მოიცავს მხოლოდ სამხედრო ასპექტს, ამ შემთხვევაში გონივრული იქნება დაკონკრეტება და თქმა, რომ ეს არის სამხედრო ლიდერობა.  სტრატეგიულ მიზანში N 1, ამოცანა N 1, ეხება თვითმომზადების პროგრამის შეფასების და სტიმულირების მექანიზმების შემუშავებას და „დამტკიცებული ინსტრუქციები“ არ შეიძლება იყოს ერთადერთი ინდიკატორი ამ მიზნის შესრულების გასაზომად. იგივე საკითხი ეხება იმ მიზნის შედეგს, რომ „იუნკერს შეუძლია გამოიყენოს სამხედრო ცოდნა და უნარები“, სამოქმედო გეგმაში უნდა იყოს წარმოდგენილი, თუ როგორ ფასდება ეს. სტრატეგიულ მიზანში N 2, N 1 და N 4 ამოცანები ერთი და იგივეა, და ეხება პროგრამების მუდმივ განვითარებას; შესრულება უზრუნველყოფილია კურსდამთავრებულების, აფილირებული პერსონალის შეფასებით და თავდაცვის სამინისტროს მიერ გაცემული დოკუმენტების ანალიზით და შედეგების პროგრამებში ასახვით. ამ მხრივ აქტივობები ძალიან ზუსტი უნდა იყოს. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სტრატეგიული განვითარების თანმიმდევრული შესრულება რთული იქნება, თუ სამოქმედო გეგმაში  არ იქნება გათვალისწინებული შესრულების ძირითადი ინდიკატორები (KPI). გარდა ამისა, კავშირი SWOT-ს, სტრატეგიულ გეგმას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აქტივობებს, მისიასა და სამოქმედო გეგმას შორის უნდა იყოს ძალიან მჭიდრო.

აკადემია ორგანიზაციის „ძლიერი მხარეების“ პუნქტში წარმოგვიდგენს ინტერნაციონალიზაციის მაღალ ხარისხს და ერთობლივ საერთაშორისო პროექტებს დასავლეთის უნივერსიტეტებთან. ამ თვალსაზრისით, აკადემიას ამ პერიოდისთვის არ ჰყავს საერთაშორისო სტუდენტები ან პროფესორები დაწესებულებაში, გარდა ერთი მოწვეული ინგლისური ენის ლექტორისა.  ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი საკმაოდ სუსტია და გაუმჯობესებას საჭიროებს.

„სისუსტეების“ პუნქტში აკადემია წარმოგვიდგენს  მისაღებ კანდიდატთა რაოდენობის კლებას, თუმცა რეალური მიზეზების გამოსავლენად კვლევა ჯერ არ ჩატარებულა. პერსონალის კარიერული განვითარების პოლიტიკა უნდა შემუშავდეს მათი საჭიროებიდან გამომდინარე, ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს  შეექმნა შთაბეჭდილება, რომ

დაწესებულება ტრენინგებს ატარებს უმაღლესი მენეჯმენტის გადაწყვეტილებებზე დაყრდნობით. შესაბამისად, SWOT და სამოქმედო გეგმა უნდა გადაიხედოს და დაიხვეწოს.

სამოქმედო გეგმის პირველი ანგარიში ცხადყოფს, რომ შედეგები არ არის დამაიმედებელი. მონიტორინგის ჯგუფის მიერ დატოვებული რეკომენდაციები მიუთითებს, რომ გარკვეული შეფერხებებია დასახული მიზნების შესრულებაში, რაც გასაგებია, პანდემიის პერიოდის გამო. თვითშეფასების ანგარიშში ექსპერტთა ჯგუფი კითხულობს, რომ თითქმის მთელი დაწესებულება იყო ჩართული სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში, თუმცა ადგილზე ვიზიტმა აჩვენა, რომ ამ დოკუმენტებსა და მათ მნიშვნელობას რამდენიმე ადამიანი იცნობს.

აკადემიამ მოახდინა სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი დოკუმენტის ფორმალიზება, შესაბამისი პროცედურებითა და მონიტორინგის ჯგუფით, თუმცა მან უნდა შეიმუშაოს უფრო ზუსტი მიზნები შესრულების ძირითადი ინდიკატორებით, გააანალიზოს რისკები, გახადოს სამოქმედო გეგმა უფრო გაზომვადი და მიაწვდინოს ხმა დაინტერესებულ მხარეებს ამ პროცესში ჩართვისთვის.

აკადემიამ იცის, რომ საჭიროა მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებაში წვლილის შეტანაში ცოდნის გავრცელების გზით და ითანამშრომლოს რეგიონის განვითარებაში. თვითშეფასების ანგარიშში და ინტერვიუების დროს აკადემიამ აღნიშნა საჯარო ლექციები, ვიზიტები სკოლებში, კონფერენციების ორგანიზება, და ბუნებაში დასუფთავების სამუშაოები. უნიკალური სამხედრო დაწესებულების სტატუსი და თავდაცვის სამინისტროსთვის ოფიცრების მომზადების ხანგრძლივი ტრადიცია დადებით წვლილს აძლევს აკადემიას შემდგომი ჩართულობისთვის, მაგრამ მისი საერთო გავლენა ამჟამად ჯერ კიდევ დაბალია და უწყვეტი განათლების ასპექტების დასაკმაყოფილებლად აქტივობების რაოდენობა შეზღუდულია.

1-ელ სტანდარტთან მიმართებით, ეროვნული თავდაცვის აკადემიის არგუმენტირებული პოზიციის საპასუხოდ:

თვითშეფასების ანგარიშში ნათლად არის გაჟღერებული ეროვნული თავდაცვის ამბიცია, იფუნქციონიროს ადგილობრივ, რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე, რაც არ არის მითითებული მისიაში.

ეროვნული თავდაცვის აკადემია მიიჩნევს, რომ ლიდერების ჩამოყალიბების კომპონენტი უზრუნველყოფილია ექსტრაკურიკულური აქტივობებით, რომელიც ხორციელდება „ლიდერობის სისტემის“ მიხედვით. ამ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ლიდერების ჩამოყალიბების კომპონენტებია:

1) იუნკერების ცხოვრების სტილი;

2) დროებით შტაბის სამეთაურო პოზიციებზე იუნკერების შერჩევის, დანიშვნისა და შეფასების პროცედურები;

3) დროებით შტაბის პოზიციებზე დანიშნული იუნკერების მოვალეობები და პასუხისმგებლობები;

4) სამხედრო ლიდერობა;

5) სამხედრო ლიდერობის განვითარების პროგრამა;

6) სამხედრო ლაშქრობების განხორციელების პროგრამა;

7) იუნკერების ფიზიკური მომზადების პროგრამა და ა.შ.

ცხადია, რომ ეს არის წმინდა სამხედრო სფეროსთან დაკავშირებული პროგრამა და არ არის დაკავშირებული ლიდერობის სამოქალაქო გაგებასთან, რომელიც გულისხმობს სწორი გადაწყვეტილებების მიღებას, მკაფიო ხედვის შექმნას და არტიკულაციას, მიღწევადი მიზნების ჩამოყალიბებას და მიმდევრებისთვის, ამ მიზნების მისაღწევად საჭირო, ცოდნისა და ინსტრუმენტების მიწოდებას. ლიდერები საჭიროა საზოგადოების უმეტეს ასპექტში, ბიზნესიდან პოლიტიკამდე, რეგიონიდან საზოგადოებაზე დაფუძნებულ ორგანიზაციამდე.

ექსპერტთა ჯგუფმა ორი სამაგისტრო პროგრამის კურიკულუმში იპოვა ორი კურსი: სამხედრო ლიდერობა და სტრატეგიული ლიდერობა. მხოლოდ საბაკალავრო პროგრამა მენეჯმენტში შეიცავს კურსს - ორგანიზაციული ქცევა და ლიდერობა. აქედან გამომდინარე, თუ ეროვნული თავდაცვის აკადემია აცხადებს, რომ დაწესებულება აყალიბებს ლიდერებს, რომელთაც აქვთ როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო განათლება, ყველა პროგრამამ უნდა უზრუნველყოს ლიდერობის სწავლება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

დაწესებულების არგუმენტირებულ პოზიციაში ნათქვამია, რომ შესაძლებელია სტრატეგიულ გეგმაში ზოგიერთი ცვლილების შეტანა, ასეთი ცვლილებების თავიდან აცილების მიზნით საჭიროა სამოქმედო გეგმაში რისკების ანალიზის შემუშავება.

**მტკიცებულელებები/ინდიკატორები**

- ბრძანება სტრატეგიული განვითარების გეგმისა და 3-წლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, დანართი N 1.1;
- სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის წესი, დანართი N 1.2;
- ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების შედეგები;
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, დანართი N 1.1;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა, (7-წლიანი) დანართი N 1.1;
- სამოქმედო გეგმა (3-წლიანი) დანართი 1.1;
- მონიტორინგის შედეგები, დანართი N 1.2;
- აკადემიის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები სოციალური განვითარების ხელშეწყობის მიზნით, დანართი N 1.3;
- ეროვნული თავდაცვის აკადემიის ვებგვერდი, www.eta.edu.ge;
- აკადემიის საქმიანობის წლიური ანგარიშები, დანართი N 1.4;
- თვითშეფასების ანგარიში;

**რეკომენდაცები:**

- აკადემიამ სამოქმედო გეგმაში უნდა განსაზღვროს ზუსტი გაზომვადი მიზნები და შესრულების ძირითადი ინდიკატორები.

**რჩევები:**

ეროვნული თავდაცვის აკადემიამ უნდა:

- გამოიყენოს კვლევაზე დაფუძნებული მიდგომა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შედეგები დაწესებულების სუსტი და ძლიერი მხარეების დასადგენად;
- გაზარდოს იუნკერების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ჩართულობა და მონაწილეობა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში;
- სისტემატიურად შეიმუშაოს, თანამშრომლების საჭიროებებზე/მოთხოვნებზე დაფუძნებული, მიზნობრივი მოკლევადიანი სასწავლო კურსები.

| |
|---|
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**<br>- ექსპერტთა ჯგუფი აღფრთოვანებული დარჩა აკადემიის ტრანსფორმაციული შესაძლებლობებით - აკადემიას აქვს ხანგრძლივი ტრადიცია და იგი მტკიცედ არის ორიენტირებული სამომავლო განვითარებაზე და ახალი ხარისხის კულტურის აშენებაზე. |
| **შეფასება**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან. |

## 2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ეფუძნება განათლების სექტორის საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვის პროცესში მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტიან გამოყენებას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

| 2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა |
|---|
| ○ უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს თავის სტრატეგიულ გეგმაში აღწერილი მიზნებისა და ღონისძიებების განხორციელებას.<br>○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.<br>○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფენ დაწესებულების საქმიანობის ეფექტურ მართვას.<br>○ უსდ-ის მისიისა და მიზნების შესაბამისად, უსდ-ის ხელმძღვანელობა ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br>მას შემდეგ, რაც აკადემიამ გარკვეული ცვლილებები შეიტანა მის სტრუქტურაში, ამჟამად იგი შედგება შემდეგი ერთეულებისგან:<br>- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური<br>- შტაბ-ბინა<br>- ბაკალავრიატი<br>-მაგისტრატურა<br>- იუნკერთა მომზადების ბატალიონი<br>- უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლა<br>- სწავლებების მხარდაჭერის და განვითარების ცენტრი<br>- სპორტისა და ფიზიკური მომზადების სამსახური |

- დისტანციური სწავლების ცენტრი

-ბიბლიოთეკა

-სამეცნიერო კვლევითი ცენტრი

-შიდა აუდიტის სამსახური

- საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი

- საგამოცდო ცენტრი.

რექტორი მართავს და წარმოადგენს აკადემიას მესამე პირებთან. ჩამოთვლილი ორგანიზაციული ერთეულები რექტორის უშუალო დაქვემდებარებაშია: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, შიდა აუდიტის სამსახური, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი და რექტორის მოადგილეები, კერძოდ:

- რექტორის პირველი მოადგილე
- რექტორის მოადგილე
- რექტორის მოადგილე - შტაბის უფროსი

რექტორის პირველი მოადგილის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება შემდეგი განყოფილებები: იუნკერების მომზადების ბატალიონი, უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლა, სპორტისა და ფიზიკური მომზადების სამსახური და სწავლებების მხარდაჭერის და განვითარების ცენტრი. რექტორის მოადგილის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებიან შემდეგი განყოფილებები:

- ბაკალავრიატი,
- სამაგისტრო პროგრამები,
- საგამოცდო ცენტრი,
- დისტანციური სწავლების ცენტრი,
- ბიბლიოთეკა

რექტორის მოადგილის - შტაბის უფროსის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება შემდეგი განყოფილებები: G-1 სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია ადამიანური რესურსების დაგეგმვისა და მართვის პროცესზე; G3-G2 სამსახური, რომლის ამოცანაა აკადემიის მართვისა და კონტროლის, უსაფრთხოების, საბრძოლო მომზადების, სასწავლო პროცესის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად წარმართვისა და მომავალზე ორიენტირებული აკადემიური განათლების მიღების პროცესის ხელშეწყობა და საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება; G-4 სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს აკადემიის სამხედრო ტექნიკური, მატერიალურ-ტექნიკური და სამედიცინო ობიექტების მიწოდების დაგეგმვას, ორგანიზებას, კოორდინაციას და მონიტორინგს. სამსახური ასევე აკონტროლებს აკადემიისთვის გადაცემული ქონების მოპოვების პროცესს და არსებული მატერიალურ-ტექნიკური (არაძირითადი) აქტივების განკარგვის ოპერაციებს; G-5 სამსახური ორგანიზებას უწევს აკადემიის განვითარების გეგმებისა და პროგრამების შემუშავებას, პასუხისმგებელია ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებთან ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობისა და სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობების ხელშეწყობაზე, კოორდინაციას უწევს და ხელმძღვანელობს აკადემიის საერთაშორისო საქმიანობებს; G-6 სამსახური, რომელიც პასუხისმგებელია აკადემიის კომუნიკაციების, საინფორმაციო სისტემების, ქსელის დაგეგმვის,

ორგანიზებისა და მონიტორინგის უზრუნველყოფაზე. ის ასევე ორგანიზებას უწევს და უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლის უსაფრთხოებას და უზრუნველყოფს და აკონტროლებს აკადემიაში სამუშაო და სასწავლო პროცესებს კომპიუტერული და სხვა საინფორმაციო ტექნოლოგიებით, შესაბამისი აღჭურვილობის გამოყენებით. ასევე, რექტორის მოადგილის - შტაბის უფროსის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება ლოგისტიკის სამსახური, იურიდიული სამმართველო, ფინანსური მართვის სამმართველო, შესყიდვების განყოფილება, კანცელარია, საგამოფენო დარბაზი და რეკრეაციის ცენტრი.

სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები ერთმანეთისაგან გამიჯნულია, რაც დასტურდება დებულებებითა და სტრუქტურული ერთეულების ფუნქციური მოვალეობებით. ამ დოკუმენტებში ნათლად და ზუსტად არის განსაზღვრული პასუხისმგებლობის სფერო და რეგულარული საქმიანობა. სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები იცნობენ დებულებებს და საკუთარ ფუნქციებსა და მოვალეობებს, ასევე შეფასების წესებსა და კრიტერიუმებს. ამ ფაქტის გათვალისწინებით ხდება მათი ინდივიდუალური შეფასება.

აკადემიის მმართველი ორგანოები / მმართველი პირებია:

- აკადემიური საბჭო
- რექტორი
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი

აკადემიის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისა და საგანმანათლებლო ერთეულების მმართველი ორგანოები/მმართველი პირები:

- ბაკალავრიატის ხელმძღვანელი
- ბაკალავრიატის საბჭო
- სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი
- სამაგისტრო პროგრამების საბჭო.

საგანმანათლებლო ერთეულების მმართველი ორგანოები/მმართველი პირები არიან:

- იუნკერების სასწავლო ბატალიონის მეთაური
- უმცროს ოფიცერთა მომზადების სკოლის ხელმძღვანელი
- სწავლებების მხარდაჭერის და განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი
- სპორტისა და ფიზიკური მომზადების სამსახურის უფროსი
- დისტანციური სწავლების ცენტრის უფროსი

აკადემიაში მოქმედი წესები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა დაამტკიცა ინსტრუქციები E-flow - ელექტრონული დოკუმენტების მართვის სისტემის შესახებ, რომელსაც აკადემიაც იყენებს.

ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აკადემიის ორგანიზაციულ სტრუქტურას შეუძლია უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებების ეფექტიანი განხორციელება და აკადემიის მიზნების მიღწევა.

თვითშეფასების ანგარიშში ექსპერტთა ჯგუფმა წაიკითხა, რომ *„მმართველ ორგანოებში წევრების არჩევა და დანიშვნა აკმაყოფილებს წინასწარ დადგენილ მოთხოვნებს. აკადემიის არჩევითი მმართველი ორგანოების არჩევნებს, აკადემიური საბჭოს მიერ სამინისტროსთან შეთანხმებით დამტკიცებული წესით, ატარებს აკადემიის საარჩევნო კომისია, აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი წესითა და უფლებამოსილებით.”* ადგილზე ვიზიტისას გაირკვა, რომ საშუალო რგოლის ხელმძღვანელ თანამდებობებზე კონკურსს თავდაცვის სამინისტრო

უძღვება, თუმცა თანამშრომლებმა, რომლებიც კონტრაქტის საფუძველზე მუშაობენ, იპოვეს ვაკანსიები hr.gov.ge-ზე და მიწვეულები იყვნენ გასაუბრებაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დაადგინა, ვინ არის პასუხისმგებელი პროგრამების აკადემიურ ნაწილზე, რადგან საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელთა სამუშაო აღწერილობა არის წმინდა ადმინისტრაციული ხასიათის.

ექსპერტთა ჯგუფი პრობლემურად მიიჩნევს იმას, რომ დეკანის და პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობებს ერთი და იგივე პირი იკავებს. დეკანები პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ სწავლებისა და კვლევის წარმოებაზე; პროგრამების ხელმძღვანელებმა უნდა მართონ სასწავლო პროცესები.

აკადემია, თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს საქმიანობის უწყვეტობას. აკადემია ხელმძღვანელობს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რისკების მართვის პოლიტიკით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიერ. ეს არის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს უწყებრივი დონის დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს რისკების მართვის ჩარჩოს, პრინციპებს და ა.შ. ამ დოკუმენტის საფუძველზე და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით, აკადემიამ შეიმუშავა და დაამტკიცა ბიზნესის უწყვეტობის რისკების რეესტრი, რომელიც აღრიცხავს ყველა პოტენციურ რისკს და რისკის დონეს, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას აკადემიის საქმიანობის უწყვეტობას. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან რისკებზე.
მართალია, აკადემიამ შეიმუშავა ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და ეს არის შვიდი სტრატეგიული მიზნებიდან ერთ-ერთი, ამ მიმართულებით დაწესებულების საქმიანობა არც ისე სისტემატური და ინტენსიურია. წარმოდგენილ დოკუმენტებში არის კმაყოფილების შეფასება იმ იუნკერების და პერსონალის, რომლებიც მონაწილეობდნენ საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში, რაც, როგორც წესი, დასავლეთის ქვეყნების მსგავს ინსტიტუტებში ორკვირიან ვიზიტებს წარმოადგენს. მათი უმრავლესობა აფასებს ამ შესაძლებლობას, მაგრამ მაინც არის რამდენიმე ადამიანი, ვინც აღნიშნა, რომ ენის ბარიერის გამო ვერ მიიღეს შესაბამისი სარგებელი.

აკადემიის შტაბ-ბინის G-5 სამსახური აცნობებს იუნკერებს საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ, ასევე პერმანენტულ ღონისძიებებზე, რომლებიც რეგულარულად ტარდება მთელი წლის განმავლობაში საერთაშორისო მიმართულებით.

რაც შეეხება პერსონალის გაცვლით პროგრამებს/პროფესიული განვითარების აქტივობებს, მათ შესახებ ინფორმაციას აკადემიის შტაბ-ბინის G1 სამსახური ავრცელებს Emod-ის საქმისწარმოების სისტემის მეშვეობით.

**მტკიცებულელებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების შედეგები;
- აკადემიის სტრუქტურა - დანართი N 2.1.1.
- აკადემიის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები - დანართი N 2.1.2.

- მმართველი ორგანოების შერჩევის/დანიშვნის წესი და პროცედურები - დანართი N 2.1.3.
- საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების სისტემა - დანართი N 2.1.4.
- სამსახურებრივი საქმიანობის დებულება - დანართი N 2.1.5.
- მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა - დანართი N 2.1.6.
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს რისკების მართვის პოლიტიკა და აკადემიის ბიზნესის უწყვეტობის რისკის რეესტრი - დანართი N 2.1.7.
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა - დანართი N 2.1.8.
- შესაბამისი ინტერნაციონალიზაციის სტატისტიკური მონაცემები - დანართი N 2.1.8.
- აკადემიის მიერ ჩატარებული იუნკერებისა და პერსონალის კვლევის შედეგები - დანართი N 2.1.8.
- შინაგანაწესი - დანართი N 2.1.10.
- დებულებები - დანართი N 2.1.11

**რეკომენდაციები:**

- დეკანის და საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის თანამდებობა უნდა დაიკავოს სხვადასხვა ადამიანმა შესაბამისი სამუშაო აღწერილობით: დეკანები პასუხისმგებელნი უნდა იყვნენ სწავლებისა და კვლევის წარმოებაზე; პროგრამების ხელმძღვანელებმა უნდა მართონ სასწავლო პროცესები.

**რჩევები:**

არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

გამოცდილება, რომელიც განსაკუთრებით შედეგიანია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

**შეფასება**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

○ ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

## 2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები. დაწესებულების ხელმძღვანელობა უწყვეტად მუშაობს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ორგანიზაციის მასშტაბით შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომელიც დაარსდა 2021 წელს და ექვემდებარება რექტორს. თვითშეფასების ანგარიშში ვკითხულობთ, რომ „ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იზიარებს აშშ-ს თავდაცვის ძალების სასწავლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის დოქტრინებს, სხვა ნორმატიულ დოკუმენტებსა და სტანდარტებს;

იზიარებს ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და რეკომენდაციებს (ESG-2015) და უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის მიერ შემუშავებულ პრინციპებსა და მიდგომებს ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ. გარდა ამისა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იცნობს ENQA-ს მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს ხარისხის უზრუნველყოფის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში იყენებს საუკეთესო პრაქტიკას“.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძირითადი ფუნქციებია:

ა) სასწავლო და სამეცნიერო კვლევის პროცესების შეფასება და შემდგომი გაუმჯობესებისთვის რეკომენდაციების შემუშავება.

ბ) ავტორიზაციისა და აკრედიტაციისთვის აკადემიის მომზადების პროცესის მართვა, ავტორიზაციის თვითშეფასების კითხვარის და ანგარიშის დამატებითი დოკუმენტაციის პროცესის ორგანიზება.

გ) სწავლებისა და სწავლის თანამედროვე მეთოდების დანერგვის ხელშეწყობა. როგორ შეუძლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს უზრუნველყოს ეს მოვალეობა?

დ) შესაბამისი რეკომენდაციების ან დასკვნების მომზადება შეფასებების და ლექციების, სემინარების, ჯგუფური მუშაობის პრეზენტაციებისა და სხვა აქტივობების მუდმივი მონიტორინგის საფუძველზე.

ე) სამხედრო და სამოქალაქო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან თანამშრომლობა ხარისხის გამჭვირვალე კრიტერიუმებისა და მისი შესრულების მეთოდოლოგიის უზრუნველსაყოფად.

ვ) ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის კრიტერიუმებისა და ინდიკატორების შემუშავება აკადემიის ძირითადი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება მომავალი ღონისძიებების შესახებ.

ზ) აკადემიის შესაბამის სტრუქტურებთან, პასუხისმგებელ პირებთან და დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა;

თ) აკადემიური / მოწვეული / სამეცნიერო პერსონალის, მასწავლებლების, სამხედრო ინსტრუქტორების და იუნკერების / სტაჟიორების კითხვარების შემუშავებაში მონაწილეობა, კითხვარის ანალიზის საფუძველზე, აკადემიის შემდგომი გაუმჯობესებისთვის, რეკომენდაციების შემუშავება და აკადემიის რექტორისთვის მათი წარდგენა.

ი) დიპლომის დანართების მონიტორინგში მონაწილეობა;

კ) აკადემიის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის კონფერენციების, ტრენინგების, სემინარების, საკონსულტაციო და საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება ბოლონიის პროცესთან, კურიკულუმის შემუშავებასთან, ავტორიზაციასთან და აკრედიტაციასთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე.

აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა ხარისხის უზრუნველყოფის გზამკვლევი, რომელიც აერთიანებს ძირითად პრინციპებს, სტანდარტებსა და პროცედურებს, რომლებიც განსაზღვრავს და უზრუნველყოფს აკადემიაში განხორციელებული აკადემიური/სამხედრო განათლების პროგრამების ხარისხს.

ხარისხის უზრუნველყოფას აკადემიაში აქვს შემდეგი მიზნები:

- სწავლების, სწავლის, კვლევისა და მენეჯმენტის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება;
- იუნკერების, მოსწავლეების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, აკადემიური ფაკულტეტის, მასწავლებლებისა და ინსტრუქტორების პოტენციალის რეალიზება;
- ოპტიმალური სასწავლო გარემოს შექმნის პროცესის ხელშეწყობა;
- წვლილის შეტანა განათლებაზე დაფუძნებული საზოგადოების ჩამოყალიბებაში.

საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს ჰყავთ ხარისხის უზრუნველყოფის საკუთარი ექსპერტები, რომლებიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან კოორდინაციით მხარს უჭერენ დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებს.

აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა სტრუქტურირებულია PDCA ციკლზე. აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა შესაბამისი შიდა მექანიზმები, რაც დოკუმენტირებულია რექტორის მიერ 2017 წელს დამტკიცებულ ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოში. წარმოდგენილ დოკუმენტებში მოთავსებულია იუნკერების, კურსდამთავრებულების, ინსტრუქტორების, ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის და სხვა დაინტერესებული პირების სხვადასხვა კითხვარები. რაოდენობრივი კვლევების ჩასატარებლად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს Google Form-ის პლატფორმას. თუმცა ვიზიტის დროს ცხადი გახდა, რომ მხოლოდ რამდენიმე ადამიანს ესმის დაწესებულებისთვის ხარისხის მნიშვნელობა.

ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს, რომ აკადემიამ ოფიციალური გახადა ყველა შესაბამისი დოკუმენტი ხარისხის უზრუნველყოფის მისაღწევად და სამოქმედო გეგმაში შეიტანა ამ მექანიზმების გაუმჯობესება.

გასაუბრებებმა გამოავლინა აქტიური და მონდომებული ადმინისტრაცია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან, თუმცა ხარისხის კულტურის შესახებ ცნობიერების დაბალი დონე ადმინისტრაციისა და აკადემიური პერსონალის ზოგიერთ წარმომადგენლის მხირდან. ზოგიერთი მათგანი ხარისხს მხოლოდ გაკვეთილებზე დასწრებად მიიჩნევს, ინტერვიუების დროს ნახსენები ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი მექანიზმი არის კლასში ურთიერთდასწრების და კლასში მუშაობის შეფასების პოლიტიკა და ურთიერთმიმოხილვის პრაქტიკა. ადგილზე ვიზიტმა ასევე აჩვენა, რომ შეფასების პროცესი აკადემიაში ადამიანების უმეტესობისთვის საკმაოდ ფორმალურია, ზოგიერთმა მათგანმა აღნიშნა, რომ შეფასების სიხშირე არის თვეში ერთხელ, ზოგიერთმა ახსენა სემესტრში ერთხელ, ზოგმაც წელიწადში ერთხელ. გარდა ამისა, ზოგიერთ პირს არ აქვს სათანადო გაგება, თუ ვინ არის პასუხისმგებელი დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფაზე. შემაშფოთებელია, რომ შეფასების შედეგები და რეკომენდაციები ხანდახან გაზიარებულიც კი არ არის პერსონალთან. პერსონალის ნაწილი ორიენტირებულია უკუკავშირის მიწოდებაზე მათი კმაყოფილების და შესაძლო ინდივიდუალური გაუმჯობესების ინიციატივებისა თუ იდეების შესახებ.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობას აფასებს აკადემიის რექტორი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს აკადემიის აკადემიურ საბჭოს. რექტორის მუშაობას აფასებენ გენერალური შტაბი და თავდაცვის სამინისტრო.

აკადემია ახორციელებს იუნკერების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონულ სისტემას, რომელიც ძირითადად მიზნად ისახავს იუნკერების ყოველკვირეული შეფასების ჩამოყალიბებას. ადგილზე ვიზიტის დროს აღინიშნა, რომ ეს არის მომხმარებელზე ორიენტირებული და კომფორტული სისტემა.

SWOT-ში აღნიშნულია, რომ აკადემიაში სტუდენტობის მსურველ კანდიდატთა დინამიკა მცირდება. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტისას მოისმინა სხვადასხვა ვარაუდები, თუმცა რეალური მიზეზების დასადგენად კვლევა არ ჩატარებულა. იმის გათვალისწინებით, რომ აკადემიას აქვს ძალიან კარგი ინფრასტრუქტურა, იუნკერებს შეუძლიათ მიიღონ ხარისხი უფასოდ. გარდა ამისა, არსებობს სტიპენდიის შესაძლებლობა ხუთი საუკეთესო იუნკერისთვის თითო პროგრამაზე.

პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და შემდგომი სრულყოფის პროცესში აქტიურად არის ჩართული თავდაცვის სამინისტრო (მაგალითად, პროცესში ჩართულია თავდაცვის ძალების მეთაურის მოადგილე, წვრთნებისა და სამხედრო განათლების სარდლობა, J-7 სამხედრო განათლებისა და საბრძოლო მომზადების დეპარტამენტი). პროგრამის საბოლოო ვერსიების შემუშავების შემდეგ დოკუმენტი შესაფასებლად ეგზავნება საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო მოკავშირე ორგანიზაციებს და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს. პროგრამის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს დამსაქმებლების/ექსპერტების მიერ პროგრამის შეფასება.

ადგილზე ვიზიტმა ცხადყო, რომ პროგრამების შემუშავებისას, გარე შეფასებისთვის გამოიყენეს ნატოს DEEP პროგრამის ექსპერტები, მაგრამ არცერთი ეს კონსულტაცია არ არის დოკუმენტირებული.

იუნკერის კონტიგენტის დაგეგმვისას აკადემია, პირველ რიგში, ხელმძღვანელობს საქართველოს თავდაცვის ძალების საჭიროებებით. იმის გათვალისწინებით, რომ საბაკალავრო პროგრამები თავდაცვის ძალების ოფიცრებით დაკომპლექტების მთავარი წყაროა, აკადემია ითვალისწინებს თავდაცვის ძალების მოთხოვნებს (წელიწადში 150 ოფიცრის მომზადება, თითოეულ პროგრამაზე 35-40 იუნკერის მომზადება); თუმცა, დამსაქმებელთან გასაუბრებამ დაადასტურა, რომ არის კადრების დეფიციტი და მათი საჭიროება არ არის დაკმაყოფილებული.

გარდა ამისა, აკადემიამ შეიმუშავა იუნკერთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს იდენტიფიცირებულ რესურსებს და შესაბამის ინდიკატორებსა და სამიზნე ნიშნულებს. ეროვნული თავდაცვის აკადემია, როგორც კონკრეტული უმაღლესი სასწავლებელი, მთლიანად თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნაზეა დამოკიდებული, ამიტომ სხვა დამსაქმებლებს არ მიმართავენ.

ამ ეტაპზე, ხარისხის კულტურის განვითარების დონე დაწესებულების მასშტაბით ხელს არ უწყობს საქმიანობის განვითარებას. აკადემიამ უნდა გაზარდოს ძალისხმევა, ხელი შეუწყოს ხარისხის კულტურის განვითარებას, როგორც ხარისხის ღირებულებების საერთო გაგებას, რაზეც პასუხისმგებელია ორგანიზაციის თითოეული ინდივიდი, ახლა ეს პროცესი ფორმალურია.

**მტკიცებულელებები/ინდიკატორები**

- ხარისხის უზრუნველყოფის გზამკვლევი – დანართი N 2.2.1;
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს;

- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურობის შეფასების სისტემა - დანართი N 2.2;
- შიდა ხარისხის შეფასების შედეგები და განხორციელებული ცვლილებები - დანართი N 2.2.2; დანართი N 2.2.3;
- შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა და პრაქტიკა - დანართი N 2.2.2; დანართი N 2.2.3;
- აკადემიის მიერ ჩატარებული იუნკერებისა და სხვა პირების გამოკითხვის შედეგები - დანართი N 2.2.3;
- იუნკერთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, მეთოდოლოგია და კრიტერიუმები - დანართი N 2.2.4;
- კლასში ურთიერთდასწრებისა და კლასში მუშაობის შეფასების პოლიტიკა - დანართი N 2.2.2;

**რეკომენდაციები:**

- ეროვნული თავდაცვის აკადემიის წარმომადგენლებმა სრულად უნდა გააცნობიერონ ხარისხის კულტურის მნიშვნელობა დაწესებულებისთვის და საჭიროა ყველას ჩართულობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ორგანიზებულ პროცესებში;

**რჩევები:**

- ექსპერტთა ჯგუფი აკადემიას ურჩევს მოძებნოს მეტი დაინტერესებული მხარე, რადგან ისინი აერთიანებენ სამხედრო და სამოქალაქო განათლების კომპონენტებს;

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

- ხარისხის უზრუნველყოფის სერვისმა ოფიციალური გახადა ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები.

**შეფასება**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან.

**2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა**

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

დაწესებულებას აქვს ორი ეთიკის კოდექსი, ორივე წარმოდგენილია ვებგვერდზე; ერთი არის სამხედრო ეთიკის კოდექსი, მეორე არის სამოქალაქო პირებისთვის. ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ სტუდენტებს შეუძლიათ მისი პოვნა ILIAS ან Moodle პლატფორმებზე.

ეთიკის კოდექსში შემუშავებულია პროცედურები სხვადასხვა რეგულაციების დარღვევებზე რეაგირების მიზნით; ის თანაბრად ამახვილებს ყურადღებას აკადემიური საზოგადოების ყველა წევრზე. დოკუმენტში მოცემულია ეთიკის კომიტეტის აღწერა, მისი მოვალეობები და პასუხისმგებლობები. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე დათვალიერებისას დაადგინა, რომ აკადემიის წარმომადგენლებს აქვთ განსხვავებული ინფორმაცია ეთიკის კოდექსის დარღვევის პროცედურებთან დაკავშირებით, ზოგი ფიქრობს, რომ ეს საქმეები იგზავნება იურიდიულ დეპარტამენტში, ზოგი ფიქრობს, რომ ეს უნდა განიხილებოდეს ფაკულტეტის ხელმძღვანელთან და ა.შ. პერსონალისგან განსხვავებით, სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია ეთიკის კოდექსის შესახებ და იციან, სად შეუძლიათ მისი მოძიება და იციან ეთიკის კომიტეტთან არსებული პროცედურის შესახებ. თვითშეფასების ანგარიშში ვკითხულობთ, რომ „აკადემია თავის სასწავლო და კვლევით საქმიანობას აფუძნებს კვლევის ეთიკისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებზე“, ამიტომ ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეთიკის კოდექსი უნდა შეიცავდეს მეტ ინფორმაციას კვლევის ეთიკის შესახებ და ასევე მუხლს დისკრიმინაციის შესახებ.

ეთიკის კომიტეტი შედგება 8 კაცისგან. რეგულაციების დარღვევის შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელი პირველია, ვინც ინფორმირებულია, შემდეგ ფაკულტეტის სხდომაზე საქმის განხილვის მიზნით მიწვეულია იურისტი და შემდეგ საქმე გადაეცემა კომიტეტს. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ ეს პროცედურა შეიძლება იყოს უფრო მარტივი და ეფექტური.

ეთიკის კომიტეტში სტუდენტები არ არიან. იურიდიულმა დეპარტამენტმა განმარტა, რომ სამხედრო კონტრაქტის საფუძველზე აკადემიის რეგულაციები ზღუდავს იუნკერების ყოფნას სხვადასხვა კომიტეტებში.

2017 წლიდან 2020 წლამდე საქართველოს თავდაცვის ეროვნული აკადემია ერთ-ერთი მონაწილე იყო გამარჯვებულ Erasmus+ პროექტში - CBHE ინსტიტუციური განვითარების საგრანტო კონკურსი 2017 - აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლებისა და სწავლისთვის საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (INTEGRITY). პროექტი მიზნად ისახავდა პოლიტიკისა და მექანიზმების შემუშავებას, რომელიც ხელს შეუწყობს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში პლაგიატის შემთხვევების გამოვლენას, აღმოფხვრასა და პრევენციას. ეს პარტნიორობა დაეხმარა აკადემიას პლაგიატის საკითხების რეგულირების წესის შემუშავებაში. დაწესებულებამ შეიმუშავა ორი დოკუმენტი, ერთი ეხება პლაგიატს და მის დონეებს, მეორე დოკუმენტი ეხება პლაგიატის შემთხვევებს და შესაბამისი ზომების მიღებას, რაც ხდება მისი გამოვლენის შემთხვევაში. აკადემიამ შეიძინა პლაგიატის საწინააღმდეგო პროგრამა „Turnitin“ და უფლება აქვს შექმნას 1000 ანგარიში და შეამოწმოს ნაშრომები. პროგრამას ადმინისტრირებას უწევს დისტანციური სწავლების ცენტრი. საჭიროების შემთხვევაში პროგრამას იყენებს ბაკალავრიატი, სამაგისტრო პროგრამა და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი პლაგიატზე ნაშრომების შესამოწმებლად.

მე-2 სტანდარტთან მიმართებით, ეროვნული თავდაცვის აკადემიის არგუმენტირებული პოზიციის საპასუხოდ:

ვინაიდან რექტორის მოადგილეები იკავებენ დეკანის თანამდებობას და პროგრამის ხელმძღვანელები პასუხისმგებელნი არიან პროგრამის აკადემიურ ნაწილზე, ექსპერტთა

ჯგუფი იღებს ეროვნული თავდაცვის აკადემიის პოზიციას დეკანებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან დაკავშირებით.

არგუმენტირებულ პოზიციაში ეროვნული თავდაცვის აკადემია აცხადებს, რომ ბუნდოვანია, რას გულისხმობს ექსპერტთა ჯგუფი კვლევის ეთიკაში. კვლევის ეთიკა, პლაგიატის გარდა, მოიცავს შემდეგ საერთაშორისო პრინციპებსა და სტანდარტებს: აკადემიური პატიოსნება, პასუხისმგებლობა, კონფიდენციალურობა და ა.შ. კვლევა უნდა ჩატარდეს კვლევის ეთიკის სტანდარტების მიხედვით, რაც გულისხმობს კვლევის მონაწილეთა ინფორმირებას კვლევის მიზნების, მეთოდების, კვლევის შედეგების ან კონფიდენციალურობასთან, ანონიმურობასთან დაკავშირებით, სავარაუდო რისკების შესახებ. ეს ასევე მოიცავს რესპონდენტთა უფლებებს, ციტირების წესებს, აუდიო ვიდეო ან სხვა მასალების დაარქივებას, რომლებიც გამოიყენება კვლევის მიზნებისთვის ან შედეგებში. ეს ეხება კვლევაში მონაწილე პირების უფლებებს, აფილირების წესს, 18-მდე ასაკის არასრულწლოვნებს, ასაკის, სქესის, რელიგიის, კულტურის, სქესის, ეროვნების და სხვა განსხვავებების გათვალისწინებით; საინტერესოა, თუ როგორ აისახება კვლევის შედეგები აკადემიის პოზიციაზე, როგორ აკონტროლებს დაწესებულება ამ პროცესს და ა.შ. არგუმენტირებულ პოზიციაში გამოთქმული პასუხი არ არის დაფიქსირებული ეთიკის კოდექსში, „ხალხი ინფორმირებულია საავტორო უფლებების შესახებ“ - არ არის საკმარისი პასუხი.

**მტკიცებულელებები/ინდიკატორები**

- ეთიკის კოდექსი - დანართი N 2.3.2;
- საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეების ეთიკის კოდექსი, ვებგვერდი www.eta.edu.ge
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები ადგილზე ვიზიტის დროს;
- პლაგიატის წესი - დანართი N2.3.1.;
- შინაგანაწესი - დანართი N 2.1.10.;
- ეთიკის კომიტეტი - დანართი 2.3.3.;
- კონრაქტი Turnitin-თან - დანართი N2.3.5.;
- Erasmus + პროექტის აკადემიური კეთილსინდისიერება ხარისხიანი სწავლისა და სწავლებისათვის საქართველოს უსდ-ებში (“INTEGRITY”) - დანართი 2.3.6.;
- რეგულაციების ნუსხა - დანართი N2.3.7.;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი პოლიტიკა - დანართი N 2.4;
- ვებგვერდი www.eta.edu.ge

**რეკომენდაციები:**

წინადადება (წინადადებები), რომელიც უნდა გაითვალისწინოს დაწესებულებამ სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად.

**რჩევები:**

- აკადემიის ეთიკის კოდექსი საჭიროებს გარკვეულ გაუმჯობესებას კვლევის ეთიკის შესახებ მეტი ინფორმაციის დამატებით (რადგან ეს მხოლოდ პლაგიატს არ ეხება) და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებისთვის დისკრიმინაციის ასპექტების შესახებ შესაბამისი მუხლის შემუშავებით.

| |
|---|
| |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**<br>გამოცდილება, რომელიც განსაკუთრებით შედეგიანია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. |
| **შეფასება**<br><br>☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან. |

## 3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| |
|---|
| 3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება |
| უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენის, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>თავდაცვის ეროვნულ აკადემიას აქვს პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების წესი. ისინი იცავენ როგორც საქართველოს უმაღლესი განათლების კანონს, ასევე თავდაცვის სამინისტროს წესებს. პროგრამები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, ასევე სამხედრო პროგრამის სტანდარტების მოთხოვნებს. მათ აქვთ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები. საბაკალავრო პროგრამებისთვის არის ორი მიმართულება: ბაკალავრიატი და სამხედრო. ყველა პროგრამა აკრედიტებულია. საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობაა 4 წელი. 3 წელი სრულად არის დატვირთული საბაკალავრო კურსებით, მაგრამ სწავლის ბოლო წელი სამხედრო პროგრამაზეა. საბაკალავრო პროგრამების საჭიროებებსა და მოთხოვნებს განსაზღვრავს თავდაცვის სამინისტრო. ფიზიკური აქტივობის უმაღლესი დონის გამო, საბაკალავრო პროგრამები მოითხოვს მხოლოდ ჯანმრთელი პირების მიღებას, რაც აღწერილია პროგრამებში. სამაგისტრო პროგრამებზე დაშვება არ საჭიროებს ჯანმრთელობის შესახებ პირობების დაკმაყოფილებას. პროგრამების დაწყებამდე ოთხი წლით ადრე მოხდება საჭიროებების ჩამოთვლა და პოტენციური იუნკერების რაოდენობის განსაზღვრა. იუნკერები ჩართულნი არიან პროგრამების შეფასების პროცესში, ავსებენ გამოკითხვებს და აფიქსირებენ საჭიროებებს. მაგალითად, სურდათ გაეზარდათ ან/და შეემცირებინათ ინგლისური ენის გაკვეთილების რაოდენობა. პროგრამის სწავლის შედეგები განისაზღვრება როგორც საქართველოს კვალიფიკაციების ჩარჩოს, ასევე საქართველოს თავდაცვის მოთხოვნების შესაბამისად. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები მკაფიოდ |

არის განსაზღვრული, შეფასების სისტემა იუნკერებისთვის ნაცნობია და მათ აქვთ შესაძლებლობა გაასაჩივრონ შედეგები. სწავლის მეთოდები არის საგნების მიხედვით.

აკადემიაში პროგრამების შემუშავების პროცესში ჩართულია აკადემიის აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ასევე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. იუნკერებისა და კურსდამთავრებულების მეტი ჩართულობა სასარგებლო იქნება პროგრამის შემუშავების პროცესში. ეს გამოვლინდა მათთან გასაუბრებისას. როგორც ჩანს, ზოგიერთმა მათგანმა კარგად იცოდა პროგრამები, ზოგმა კი ნაკლებად იცოდა პროგრამის შემუშავების პროცესების შესახებ. პროგრამის შემუშავების პროცესში აკადემია ითვალისწინებს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნებს, მაგრამ ამზადებს მათ შრომის ბაზრისთვის, რაც იმას ნიშნავს, რომ თავდაცვის სამინისტროს გარდა, კურსდამთავრებულები დასაქმებას კერძო სექტორშიც შეძლებენ. კვლევების გარდა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე ქმნის ფოკუს ჯგუფებს პროგრამების შემუშავების პროცესში. DEEP-ის წევრები ჩართულნი იყვნენ პროგრამების გარე შეფასებაში. აკადემიაში არის წესი, რომლის მიხედვითაც იუნკერები ვერ გადააბარებენ საგანს თუკი ჩაიჭრნენ. ამის გამო, ჩაჭრილმა სტუდენტმა აკადემია უნდა დატოვოს ან განაგრძოს მსახურება ჯარში. ისინი ჯარიმას არ იხდიან. პროცესი აღწერილია სასწავლო პროცესის რეგულირების წესებში.

პერიოდულად მოწმდება იუნკერების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში მათი აკადემიური მოსწრება მაღალი დონისაა.

პროგრამის შემუშავებისას გამოიყენება ურთიერთდასწრებისა და სააუდიტორიო შესრულების შეფასების პოლიტიკა და კოლეგიური დასწრების პრაქტიკა, რაც დასტურდება პერსონალთან გასაუბრებებით. აკადემიას აქვს პროგრამის დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების პროცედურები.

**მტკიცებულელებები/ინდიკატორები**

- აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების ანალიზის, დაგეგმვის, განვითარების, განხორციელების, შეფასების და დამტკიცების წესი;
- დამსაქმებლის მოთხოვნები;
- იუნკერების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებელთა გამოკითხვები, მათი შედეგების ანალიზი;
- კურსდამთავრებულთა კვლევა კარიერასა და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით;
- იუნკერთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები;
- პროგრამის დამტკიცების, შეცვლისა და გაუქმების პროცედურები;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

წინადადება (წინადადებები), რომელიც დაწესებულებამუნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად

**რჩევები:**

- პროგრამის შემუშავების პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაზრდის მიზნით, პროცესმა მოიცვას სტუდენტები, კურსდამთავრებულები და შრომის ბაზრის წარმომადგენლები.

| |
|---|
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):** |
| **შეფასება**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან. |
| **3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი** |
| ○ პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.<br>○ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით, უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>თავდაცვის ეროვნულ აკადემიას აქვს 8 აკრედიტებული პროგრამა, მათგან 4 საბაკალავრო და 3 სამაგისტრო პროგრამაა. კურსდამთავრებულები ჰყავს მხოლოდ ერთ სამაგისტრო პროგრამას. ასევე, აკადემიაში ახორციელებენ ქართული ენის 60-კრედიტიან პროგრამას.<br>პროგრამის კომპონენტები განისაზღვრება მისი შინაარსით, სწავლის შედეგებით და სფეროს სპეციფიკით. საგანმანათლებლო პროგრამებში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდები ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სწავლის მეთოდები იუნკერის უნარების მიხედვითაა შედგენილი.<br>აკადემია წარმოდგენილია ძირითადი სწავლის სფეროს კურსებით (სავალდებულო საბაკალავრო ნაშრომი სპეციალობაში, ძირითადი სფეროს არჩევითი კურსები). პროგრამა უზრუნველყოფს პროგრამის თავისუფალ კომპონენტს. ყველა საბაკალავრო პროგრამა სთავაზობს 75 კრედიტს ზოგადი სამხედრო მართვის მომზადების კურსებში. სამოქალაქო საგნები ბაკალავრიატის დონეზე ისწავლება 3 წელი, ხოლო სამხედრო საგნები მე-4 კურსზე. მე-6 სემესტრში იწერება საბაკალავრო ნაშრომი. ინგლისური ისწავლება ინტენსიურად. ჯამში მათ აქვთ 240-ზე მეტი კრედიტი თითოეულ პროგრამაზე, მაგრამ 240 კრედიტს აგროვებენ მეოთხე კურსზე გადასვლამდე. მაგისტრატურის საფეხურზე პროგრამის სასწავლო გეგმები ეთმობა ძირითადი სფეროს სავალდებულო კურსებს, საბაზისო სფეროს არჩევით კურსებს და ასევე ითვალისწინებს კვლევით კომპონენტს - სამაგისტრო ნაშრომს, რომელსაც ეთმობა 30 კრედიტი.<br>აკადემიამ დაამტკიცა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი, რომელიც უზრუნველყოფს იუნკერების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებების და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ ჩართვას სასწავლო პროცესში. გარდა ამისა, ამ წესის შესაბამისად, თუ იუნკერს აქვს D ან უფრო დაბალი შეფასება, მომავალ სემესტრში მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.<br>იუნკერებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა აჩვენა, რომ ისინი კმაყოფილები არიან კურსებით, თუმცა აღნიშნეს სამოქალაქო საგნებთან დაკავშირებით უფრო პრაქტიკული |

| |
|---|
| კომპონენტების საჭიროება. სამხედრო საგნების შეფასების სისტემა განსხვავებულია. როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული ნაწილი ფასდება სპეციალური საკონტროლო სიებით. თუ იუნკერი გამოტოვებს პრაქტიკულ სავარჯიშოებს, მათ ექნებათ მათი ხელახლა გავლის შესაძლებლობა. სამაგისტრო პროგრამებისთვის საჭიროა კვლევითი კომპონენტის გაძლიერება, რაც განპირობებულია იმით, რომ მათ მხოლოდ გასულ წელს დაიწყეს 2 სამაგისტრო პროგრამის განხორციელება.<br>საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი განთავსებულია აკადემიის ვებგვერდზე. |
| **მტკიცებულელებები/ინდიკატორები**<br>- საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები;<br>- სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი;<br>- აკადემიური კალენდარი;<br>- საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;<br>- სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დასამქებულების გამოკითხვა კმაყოფილების შესახებ და შედეგების ანალიზი;<br>- კურსდამთავრებულთა კვლევა კარიერასა და აკადემიურ განვითარებასთან დაკავშირებით;<br>- იუნკერთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები;<br>- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და მისი შემუშავების მეთოდოლოგია;<br>- ინსტრუქციები საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომებისთვის;<br>- Ilias- და Moodle- პლატფორმები;<br>- ვებგვერდი;<br>- ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br>- საბაკალავრო პროგრამებზე (სამოქალაქო კურსები) მეტი პრაქტიკული მუშაობა უნდა განხორციელდეს;<br>- სამაგისტრო პროგრამებისთვის აუცილებელია კვლევის კომპონენტების გაძლიერება; |
| **რჩევები:**<br>არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**<br>გამოცდილება, რომელიც განსაკუთრებით შედეგიანია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. |
| **შეფასება**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>○ ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან. |
| **3.3 სწავლის შედეგების შეფასება** |

- უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

აკადემიამ ჩამოაყალიბა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები. სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდები. აკადემიამ შეიმუშავა დოკუმენტები, რომლებიც მოიცავს აკადემიის „საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების ინდიკატორებსა და შეფასების წესებს, საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვისა და განვითარების მეთოდოლოგიას“, სწავლის შედეგების რუკას თითოეული პროგრამისთვის, სწავლის შედეგების შეფასების გეგმას/სასწავლო მეთოდების სწავლის შედეგებთან შესაბამისობის კურიკულუმის რუკას. გარდა ამისა, არსებობს მექანიზმები, რომლებიც აღწერილია ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოში. პროგრამებში ჩართული პერსონალი მონაწილეობს პროგრამებისთვის სწავლის შედეგების შეფასების სისტემის შედარებაში. აკადემიამ ჩაატარა შეხვედრა DEEP-ის (თავდაცვითი განათლების განვითარების პროგრამის) წარმომადგენლებთან, სადაც ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო დისტანციური სწავლების პროცესში სწავლის-შეფასების და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა.

აკადემიაში მოქმედებს გასაჩივრების ეფექტური სისტემა. გამოცდის შედეგებით უკმაყოფილების შემთხვევაში, იუნკერს შეუძლია ოფიციალური წერილი მისწეროს ბაკალავრის/მაგისტრატურის ხელმძღვანელს შედეგების გამოცხადებიდან 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში. საჩივარი განიხილება აკადემიის სააპელაციო კომისიის მიერ. გასაჩივრების სისტემის დეტალები ნათლად აღწერეს იუნკერებმა და თანამშრომლებმაც.

პროგრამის სწავლის შედეგების ერთ-ერთი მაჩვენებელია იუნკერების შეფასება. შეფასების სისტემა ასახულია საგანმანათლებლო პროგრამების ყველა კურსის სილაბუსში. იუნკერებისთვის იმართება საინფორმაციო შეხვედრები, სადაც ერთ-ერთი თემა ეძღვნება შეფასების მოქმედ სისტემას და შეფასებასთან დაკავშირებულ რეგულაციებს. გარდა ამისა, კურსის ხელმძღვანელები იუნკერებს აცნობენ კრიტერიუმებს, მიღწეულ შედეგებს და შედეგების გაუმჯობესების გზებს. იუნკერს შეუძლია ნახოს შეფასების სისტემის შესახებ ინფორმაცია Ilias-ისა და Moodle-ის პლატფორმებზე, სადაც ატვირთულია ყველა საჭირო რეგულაცია, მათ შორის გამოცდების ორგანიზების, ჩატარებისა და შეფასების ინსტრუქციები. სწავლის შედეგების შეფასების პროცესში აკადემია იყენებს გაუსის განაწილების პრინციპს.

სწავლის შედეგების შეფასების შესახებ ინფორმაცია ასევე განთავსებულია ვებგვერდზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სწავლის შედეგების შეფასების სისტემა და მათი ხელმისაწვდომობა დაინტერესებული მხარეებისთვის;
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- გამოკითხვის შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების ინდიკატორები და შეფასების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია;
- პროგრამების რუკები;

| |
|---|
| - სააპელაციო კომისიის დამტკიცების ბრძანება;<br>- ვებგვერდი;<br>- გასაუბრებების შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება (წინადადებები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად. |
| **რჩევები:**<br>არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**<br>პრაქტიკა, რომელი განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის |
| **შეფასება**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>○ ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, დაწესებულება მუდმივად ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

| |
|---|
| **4.1. პერსონალის მართვა** |
| ○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.<br>○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**<br>აკადემიამ შეიმუშავა და ახორციელებს პერსონალის მართვის პოლიტიკას, რომელიც განსაზღვრავს პერსონალის მართვის პრინციპებსა და წესებს. დოკუმენტში მოცემულია აკადემიის პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, მართვის, შენარჩუნების მიმართულებები და მექანიზმები. დოკუმენტი შეიცავს ინფორმაციას პერსონალის შერჩევისა და დასაქმების, განვითარებისა და შეფასების, მოტივაციისა და წახალისების, ასევე პერსონალის შენარჩუნების შესახებ. მეტი სამუშაოა საჭირო იმისათვის, რომ ახალი პერსონალი გაეცნოს თავის სამუშაო ადგილს და შიდა წესებს. ეს კარგად გამოჩნდა გასაუბრებების დროსაც. |

| |
|---|
| აკადემია ცდილობს მოიზიდოს ახალგაზრდა პერსონალი, ადმინისტრაციული, აკადემიური, სამეცნიერო თუ მოწვეული კადრები. თანამშრომლობის პროცესში აკადემია უზრუნველყოფს მათ პროფესიულ განვითარებას ტრენინგების/ვორქშოფების, კვლევების გამოქვეყნების/დაფინანსების, კონფერენციებში მონაწილეობის გზით. აკადემიაში დასაქმებულ ყველა პირს აქვს ჯანმრთელობის უფასო დაზღვევა, ისინი თავისუფლად სარგებლობენ აკადემიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.<br><br>სამხედრო მოსამსახურეების შერჩევის წესი განისაზღვრება თავდაცვის მინისტრის ბრძანებით. თანამდებობაზე დანიშვნა ხდება აკადემიის რექტორის მოთხოვნით, თავდაცვის ძალების სარდლის ბრძანებით. დამხმარე პერსონალის დაკომპლექტება ხდება რექტორის მიერ დანიშვნის გზით და ხელშეკრულების საფუძველზე, ღია კონკურსით ან მის გარეშე. აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალი მაღალკვალიფიციურია. აკადემიური/მოწვეული პერსონალი (ხელმძღვანელი პროფესორი, პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ პროფესორი), აკადემიური/მოწვეული პერსონალის (დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) დანიშვნა.<br><br>აკადემიას აქვს უნიკალური შესაძლებლობა ჩაერთოს საერთაშორისო პროფესიული განვითარების აქტივობებში.<br><br>აკადემიაში არსებობს წახალისების მექანიზმები. ყოველთვიურად იმართება პერსონალის დაჯილდოების ცერემონია. ეს ჯილდოებია: მედლები, სიგელები, სხვადასხვა პრიზები. სამოქალაქო პერსონალის შეფასების გზამკვლევი დამტკიცებულია აკადემიის მიერ და მიზნად ისახავს აკადემიის სამოქალაქო პერსონალის შეფასების მეთოდის/სისტემის და მარეგულირებელი პროცესების განსაზღვრას. აკადემიის საქმიანობის ეფექტიანად წარმართვისთვის გზამკვლევი ადგენს მიზნებს და მათი გაუმჯობესების გზებს, პერსონალის მიერ შესრულებულ საქმიანობასთან დაკავშირებით.<br><br>ეროვნული თავდაცვის აკადემია ხელს უწყობს აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებას, ასევე, მათ სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას. აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის მიზანია აკადემიური საქმიანობის შეფასება და თვითშეფასება, სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის შეფასება, და საკუთარ განვითარებაზე ზრუნვა. ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის მიზნებია - მათი მუშაობის შეფასება და თვითშეფასება, მათ განვითარებაზე ზრუნვა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>- აკადემიის წესდება;<br>- აკადემიური პერსონალის დასაქმებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესი;<br>- დამხმარე პერსონალის დანიშვნის წესი;<br>- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის წესი;<br>- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, შესაბამისი რეგულაციები და განხორციელების შედეგები;<br>- ეროვნული თავდაცვის აკადემიის აკადემიური პერსონალის აფილირების წესის დამტკიცება;<br>- პერსონალის მუშაობის შეფასების და კმაყოფილების კვლევის შედეგები და მათი გამოყენება პერსონალის მართვასა და განვითარებაში;<br>- გამოკითხვის შედეგები;<br>- პერსონალის ფუნქციები და სამუშაოს აღწერილობები; |

- საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- შრომითი კონტრაქტის ნიმუშები;
- პერსონალის სტატისტიკა;
- ინტერვიუს შედეგები.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

**შეფასება**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა**

- უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა დაწესებულებაში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ადეკვატურია.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

აკადემიას აქვს სამეცნიერო პერსონალის კვლევითი და აკადემიური დატვირთვის წესი, რომელსაც ახლავს სემესტრის დატვირთვის სქემა. აკადემიური პერსონალის სრული დატვირთვა მოიცავს სავალდებულო ლექციას/სემინარს, ინდივიდუალურ მუშაობას/კონსულტაციას იუნკერებთან, საგამოცდო მასალების შემუშავებას, ახალი კურსის შემუშავებას, საბაკალავრო/სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობას და განხილვას. პერსონალის ყოველკვირეული მინიმალური სალექციო დატვირთვაა 6 აკადემიური საათი. პერსონალის ყოველკვირეული მაქსიმალური სალექციო დატვირთვა არ აღემატება 14 აკადემიურ საათს. აკადემიური პერსონალის სამუშაო დატვირთვა მოიცავს მათ სამეცნიერო საქმიანობას, რაც განსაზღვრულია მათ ხელშეკრულებაში. სამეცნიერო საქმიანობის დეტალებისთვის იხილეთ სტანდარტი 6. ყველა პერსონალისთვის მაქსიმალური სამუშაო საათი კვირაში 40 საათია. ეს შემოწმდა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან გასაუბრებისას. სრულ განაკვეთზე აკადემიური პერსონალის დატვირთვა განისაზღვრება, როგორც მინიმუმ 800 საათი წელიწადში.

აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა მიმართებაშია რეკრუტირებული იუნკერების რაოდენობასთან, რომელიც განისაზღვრება აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგიით.

| |
|---|
| აკადემიის საბაკალავრო და სამაგისტრო ოფისები, აკადემიის G3-G2 სამსახურის სამოქალაქო-საგანმანათლებლო დეპარტამენტთან კოორდინაციით ახორციელებენ სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში აკადემიური პერსონალის დატვირთვის მონიტორინგს.<br>აკადემიამ შეიმუშავა აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც საბაკალავრო პროგრამაში არის 1 აკადემიური პერსონალი 40 იუნკერზე; სამაგისტრო პროგრამაში - 1 აკადემიური პერსონალი 10 იუნკერზე.<br>აკადემიაში დადგენილია აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები და განსაზღვრულია აკადემიური პერსონალის უფლება-მოვალეობები აფილირებასთან დაკავშირებით. აკადემიის G3-G2 სამსახურის სამოქალაქო მიმართულების სასწავლო განყოფილებაში არსებობს მონიტორინგის რეგულარული სისტემა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>- აკადემიური-კვლევითი და აკადემიური დატვირთვის წესი;<br>- აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალის შერჩევის სქემა;<br>- პერსონალის ფუნქციების აღწერილობა;<br>- პერსონალის პირადი საქმეები;<br>- პროგრამაში მოწვეული აკადემიური პერსონალის რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია;<br>- პერსონალის თანაფარდობები;<br>- იუნკერებისა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები;<br>- სხვა უნივერსიტეტებში დატვირთვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>- გასაუბრებების შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br>წინადადება (წინადადებები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად. |
| **რჩევები:**<br>არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**<br>პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის |
| **შეფასება**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას; სტუდენტებს სთავაზობს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, კარიერული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმებს; ასევე უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად, უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

**5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები**

- უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ეროვნული თავდაცვის აკადემიამ შეიმუშავა შესაბამისი რეგულაციები სტუდენტის ჩარიცხვის, სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, ასევე განათლების აღიარების შესახებ, რომლებიც შეესაბამება საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს კანონს „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და სხვა ნორმატიულ აქტებს. ეს რეგულაციები არის გამჭვირვალე, სამართლიანი და საჯაროდ ხელმისაწვდომია აკადემიის ვებგვერდზე. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების პროცედურა და სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის საფუძვლები გათვალისწინებულია „სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“. აღნიშნული დოკუმენტი ასევე შეიცავს ინფორმაციას იუნკერის კონტრაქტის შესახებ.

იუნკერსა და დაწესებულებას შორის დადებული ხელშეკრულება მოიცავს იუნკერის უფლებებსა და მოვალეობებს. აღსანიშნავია, რომ ხელშეკრულების პირობები ზღუდავს სტუდენტის ზოგიერთ უფლებას, რომელიც გარანტირებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით (მაგალითად, უფლებას არჩეული იყოს როგორც სტუდენტური თვითმმართველობის ორგანოში, ასევე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მმართველობის ორგანოებში და მის ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებში). თუმცა, საქართველოს კანონი „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, რომელიც ეხება ეროვნული თავდაცვის აკადემიას, არეგულირებს ამ საკითხს შემდეგი სახით: „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით სტუდენტებისთვის დადგენილი უფლებები შეიძლება შეიზღუდოს უმაღლესი სამხედრო სასწავლებლის იუნკერთან დადებული ხელშეკრულებით“.

იმის გათვალისწინებით, რომ იუნკერებს შეზღუდული აქვთ თვითმმართველობის წევრად არჩევის უფლება და ვერ აყალიბებენ სტუდენტურ თვითმმართველობას, აკადემიამ დააარსა ალტერნატიული ინსტიტუტი - სტუდენტი-სპიკერები, დაწესებულების ხელმძღვანელობასთან პირდაპირი კომუნიკაციისთვის. აკადემია ირჩევს სპიკერებს იუნკერების სასწავლო ბატალიონიდან - კურსზე ორ იუნკერს 1 თვის განმავლობაში. აკადემიაში სწავლის პერიოდში იუნკერების უმეტესობა ამ საქმიანობაშია ჩართული.

სპიკერებს წინასწარ დაგეგმილი შეხვედრები აქვთ აკადემიის რექტორთან, რექტორის მოადგილეებთან და იუნკერთა მომზადების ბატალიონის მეთაურთან. სტუდენტ სპიკერებს აკისრიათ შუამავლის როლი იუნკერებსა და დაწესებულების ხელმძღვანელობას შორის - სპიკერები განიხილავენ ყველა იუნკერის მიერ გამოთქმულ კონკრეტულ საკითხებს,

მოსაზრებებს, თხოვნებსა და წინადადებებს. გარდა წინასწარ დაგეგმილი ფორმალური შეხვედრებისა, ყოველ კვირას (სამშაბათს) სპიკერი სტუდენტები ატარებენ არაფორმალურ შეხვედრას სადილის ფორმატში როგორც ხელმძღვანელობასთან, ასევე აკადემიის პერსონალთან. როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური შეხვედრების გამართვა აძლიერებს კომუნიკაციას სპიკერებსა და პერსონალს შორის და ეხმარება სპიკერებს თავიანთი როლების უფრო პროდუქტიულად შესრულებაში.

სტუდენტის სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა, ასევე მობილობა რეგულირდება „სასწავლო პროცესის რეგულირების წესით“. ამ დოკუმენტის მიხედვით, აკადემიაში უმაღლესი აკადემიური განათლების პირველ საფეხურზე (ბაკალავრიატი), აკადემიის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხორციელდება მხოლოდ შემოდგომის სემესტრის მობილობა. რაც შეეხება შიდა მობილობას, კადეტს ეძლევა მასში მონაწილეობის უფლება უმაღლესი აკადემიური განათლების შესაბამის საფეხურზე სწავლის ერთი სემესტრის შემდეგ (გარდა მექანიკის ინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამის კადეტებისა), მხოლოდ პირველი და მესამე სემეტრის ბოლოს (მეოთხე სემესტრის შემდეგ ყველა იუნკერს ეზღუდება შიდა მობილობის გამოყენება). ეს დოკუმენტი ასევე ითვალისწინებს მობილობის შეზღუდვის შემთხვევებს, რომლებიც გამომდინარეობს აკადემიის სპეციფიკიდან.

მაგისტრატურის სტუდენტებსაც ენიჭებათ მობილობის უფლება (როგორც შიდა, ასევე გარე). ამასთან, „სასწავლო პროცესის რეგულირების წესის“ თანახმად, „სტუდენტს/იუნკერს აქვს მობილობისა და შიდა მობილობის უფლება უმაღლესი აკადემიური განათლების მეორე საფეხურზე (მაგისტრატურაში) მხოლოდ იმ საგანმანათლებლო პროგრამის მიმართულებაზე, რომელიც შეესაბამება მათ მიერ ჩაბარებული ერთიანი სამაგისტრო გამოცდის ტიპს“. აღსანიშნავია, რომ 2020 წლიდან ერთიანი სამაგისტრო გამოცდებიდან ამოღებულ იქნა ტესტების ტიპები და ყველა კანდიდატი ერთსა და იმავე ტესტს წერს. ეს მიზნად ისახავდა მობილობის პროცესის გამარტივებას. შესაბამისად, ზემოაღნიშნული წესი არ შეესაბამება მოქმედ რეგულაციებს. (აკადემიის მიხედვით, აღნიშნული საკითხი მოგვარდა, თუმცა ექსპერტთა ჯგუფს არ წარედგინა შესაბამისი დოკუმენტაცია).

„სასწავლო პროცესის რეგულირების წესი“ აწესრიგებს სტუდენტის სტატუსის შეჩერების საკითხს, კერძოდ, სტატუსის შეჩერების, სტატუსის აღდგენის საფუძვლებს და აღდგენის წესს. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ასევე რეგულირდება აღნიშნული დოკუმენტით, „იუნკერის სტატუსის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება იყოს აკადემიის საგანმანათლებლო პროგრამით/პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეუძლებლობა, იუნკერის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედებები ან იუნკერთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევა“. ეროვნული თავდაცვის აკადემიის რეგულაციები სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შესახებ, შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოკითხული იუნკერების თქმით, კონტრაქტის ხელმოწერამდე მათ აკადემიამ მისცა ახსნა-განმარტება პირობების შესახებ. სასწავლო პროცესის დასაწყისში, სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით, იუნკერებთან იმართება საინფორმაციო შეხვედრები. ექსპერტთა ჯგუფს აუხსნეს, რომ არასრულწლოვან კანდიდატთა შემთხვევაში აღნიშნულ შეხვედრას ესწრება მშობელი ან მეურვე. გასაუბრების პროცესმა ცხადყო, რომ სტუდენტებმა იცოდნენ ხელშეკრულების პირობები - ხელშეკრულებით გარანტირებული უფლებები, ასევე ვალდებულებები და მისი დარღვევის შედეგები.

| |
|---|
| დაწესებულებამ ასევე შეიმუშავა ეთიკის ორი კოდექსი (ერთი სამოქალაქო პირებისთვის და მეორე – სამხედროებისთვის), რომლებიც განსაზღვრავს შესაბამის პროცედურას რეგულაციების დარღვევის შემთხვევაში. ეთიკის კოდექსი გამოქვეყნებულია ეროვნული თავდაცვის აკადემიის ვებგვერდზე. იუნკერებს მისი პოვნა ასევე შეუძლიათ ILIAS-ის და Moodle-ის პლატფორმებზე. სტუდენტებს აქვთ ინფორმაცია ეთიკის კოდექსის შესახებ და იციან სად მოიპოვონ იგი, ასევე აცნობიერებენ ეთიკის კომიტეტის მიერ განხორციელებულ პროცედურას.<br>სტუდენტების უფლებების დასაცავად დაწესებულებამ ჩამოაყალიბა დამატებითი დოკუმენტები, როგორიცაა აკადემიის დებულება, სტიპენდიის გაცემის წესი და დისციპლინური დებულებები.<br>ცოდნის შეფასების პროცესის გამჭვირვალობისა და სამართლიანობის მიზნით დაწესებულებაში შეიქმნა საგამოცდო ცენტრი. ინფორმაცია საგამოცდო ცენტრის საქმიანობის შესახებ წერია საგამოცდო ცენტრის დებულებაში. ამ დოკუმენტის მეშვეობით ყველა იუნკერისთვის ცნობილია საგამოცდო პროცედურა და კონკრეტული წესები, რომლებიც უნდა დაიცვან.<br>ყველა მარეგულირებელი დოკუმენტი ხელმისაწვდომია ეროვნული თავდაცვის აკადემიის ვებგვერდზე - www.eta.edu.ge, დამატებით, ისინი ატვირთულია Ilias-ის და Moodle-ის პლატფორმებზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>- სასწავლო პროცესის რეგულირების წესი - დანართი N 2.4;<br>- საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ (ხელმისაწვდომია ეროვნული თავდაცვის აკადემიის ვებგვერდზე – www.eta.edu.ge);<br>- საქართველოს კანონი „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ (ხელმისაწვდომია ეროვნული თავდაცვის აკადემიის ვებგვერდზე – www.eta.edu.ge);<br>- ეთიკის კოდექსი - დანართი N 2.3.2;<br>- საგამოცდო ცენტრის დებულება - დანართი N 2.1.11;<br>- აკადემიის დებულება - დანართი N 2.9.1;<br>- აკადემიასა და იუნკერს შორის დადებული ხელშეკრულების ნიმუშები – დანართი N 5.1;<br>- ეროვნული თავდაცვის აკადემიის თვითშეფასების ანგარიში;<br>- ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების შედეგები;<br>- ვებგვერდი www.seu.edu.ge |
| **რეკომენდაციები:**<br>- რეკომენდებულია მობილობის წესის შესწორება მაგისტრატურის საფეხურზე მოქმედი რეგულაციების შესაბამისად; |
| **რჩევები:**<br>არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):** |

**შეფასება**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისთვის და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებასა და ჩართულობას საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს.
- უსდ-ში მოქმედებს დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

ეროვნული თავდაცვის აკადემიას შემუშავებული აქვს სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. იუნკერები იღებენ სათანადო კონსულტაციას როგორც დაწესებულების ხელმძღვანელობისგან, ასევე აკადემიური/მოწვეული პერსონალისგან.

იუნკერების კონსულტაციის განრიგის უზრუნველყოფა ხორციელდება სემესტრის დასაწყისში. გარდა წინასწარ შეთანხმებული გრაფიკისა, სტუდენტებს ინდივიდუალური შეთანხმებითაც შეუძლიათ კონსულტაციის მიღება. აკადემიური/მოწვეული პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვის დოკუმენტი მოიცავს საკონსულტაციო დატვირთვის მოცულობას.

გამოკითხულთა თქმით, დისტანციური სწავლების პერიოდში, გარკვეული ტექნიკური პრობლემების მიუხედავად, სტუდენტები კვლავ იღებდნენ საკმარის კონსულტაციებს სხვადასხვა ონლაინ პლატფორმის (Zoom, Teams, Outlook, WhatsApp და ა.შ.) მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ დისტანციური სწავლების პერიოდში სტუდენტების მხარდასაჭერად დაწესებულებაში ფუნქციონირებს დისტანციური სწავლების ცენტრიც.

სტუდენტებთან და აკადემიურ/მოწვეულ პერსონალთან გასაუბრების შედეგად, ექსპერტთა ჯგუფმა გაარკვია, რომ აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტები, რომლებსაც აქვთ D (ეროვნული თავდაცვის აკადემიის დებულების მიხედვით - მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა) ან უფრო დაბალი შეფასება, იღებენ ინდივიდუალურ კონსულტაციებს.

დადებითად უნდა შეფასდეს, რომ ეროვნული თავდაცვის აკადემიის თითქმის ყველა კურსდამთავრებულს გარანტირებული აქვს საქართველოს თავდაცვის სამინისტროში

დასაქმება. თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და დაწესებულებაში ვიზიტიდან, ექსპერტთა ჯგუფმა გაარკვია, რომ დაწესებულებას არ გააჩნია ცალკე კარიერული განვითარების ცენტრი ან განყოფილება, რაც გადამწყვეტია დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით სტუდენტების სათანადო მხარდაჭერის უზრუნველყოფის პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ აკადემია სტუდენტების კარიერულ მხარდაჭერას სხვადასხვა საშუალებით ახორციელებს, იმისთვის რომ კარიერული განვითარების პროცესი იუნკერებისთვის უფრო ორგანიზებული, კარგად სტრუქტურირებული და მოსახერხებელი იყოს, აუცილებელია აკადემიაში ცალკე კარიერული განვითარების ცენტრის ან ერთეულის არსებობს; ამ შემთხვევაში ასეთი ცენტრი/განყოფილება განსაკუთრებით აუცილებელია სამოქალაქო სექტორისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული თავდაცვის აკადემიის კურსდამთავრებულებისთვის მთავარი დამსაქმებელია საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, დაწესებულების მიერ განხორციელებული პროგრამების მიზნები ითვალისწინებს კურსდამთავრებულთა დასაქმებას სამოქალაქო სექტორშიც (პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით). თუმცა, იუნკერებთან ინტერვიუმ ცხადყო, რომ ისინი არ იღებენ საკმარის კარიერულ მხარდაჭერას აღნიშნულ სფეროში.

იუნკერებს აქვთ შეხვედრები მოწვეულ სტუმრებთან, რათა განიხილონ მათ სფეროსთან და მომავალ კარიერასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი თემები. გარდა ამისა, მე-4 კურსის მეორე სემესტრში სტუდენტები გაივლიან სამხედრო სტაჟირებას თავდაცვის ძალების შესაბამის ქვედანაყოფებში, რაც მათ მომავალი კარიერისთვის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავებაში დაეხმარება. სტუდენტები ასევე გადიან პრაქტიკულ კურსებს, თუმცა იუნკერებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვებმა, ასევე ინტერვიუს შედეგებმა ცხადყო, რომ პრაქტიკული კურსების კომპონენტი, განსაკუთრებით სამოქალაქო სფეროში, უნდა დაიხვეწოს (იხ. სტანდარტი 3.2).

დაწესებულება ატარებს კვლევებს/გამოკითხვებს კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან, რათა შეცვალონ პროგრამები ზემოაღნიშნული მხარეების უკუკავშირის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სასურველია უფრო მეტი კავშირი კურსდამთავრებულებსა და სასწავლებელს შორის, ასევე კურსდამთავრებულების მეტი ჩართულობა თვითშეფასების პროცესში.

ეროვნული თავდაცვის აკადემია თანამშრომლობს დასავლურ სამხედრო ინსტიტუტებთან, რაც იუნკერებს აძლევს შესაძლებლობას მიიღონ მონაწილეობა მოკლე/გრძელვადიან გაცვლით პროგრამებში და მიიღონ ახალი გამოცდილება ნატოს წამყვანი ქვეყნების სამხედრო სკოლებიდან. იუნკერები გაცვლითი პროგრამების შესახებ ინფორმაციას ძირითადად Ilias-ისა და Moodle-ის პლატფორმებიდან იღებენ. გასაუბრებისას ექსპერტთა ჯგუფს აცნობეს, რომ ამჟამად დაწესებულებას ჰყავს 5 შემოსული სტუდენტი ჩრდილოეთ ჯორჯიას უნივერსიტეტიდან. კურსდამთავრებულებთან ჩატარებულ გამოკითხვებში, როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრის კურსდამთავრებულები (განსაკუთრებით - მაგისტრატურის) რეკომენდაციას უწევენ გაცვლითი პროგრამების გააქტიურებას.

ყოველწლიურად დაწესებულება მასპინძლობს საერთაშორისო კვირეულს, რომელშიც რეგულარულად მონაწილეობენ სამხედრო აკადემიები რამდენიმე ქვეყნიდან (როგორიცაა

კანადა, შეერთებული შტატები, ნორვეგია, შვედეთი, საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, რუმინეთი, თურქეთი, აზერბაიჯანი და სომხეთი).

იუნკერებმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამართულ ინტერვიუზე დაადასტურეს, რომ ისინი ჩართულნი არიან სხვადასხვა კონფერენციაში. სტუდენტების მოტივაციისა და კონფერენციებში მათი შემდგომი ჩართვის უზრუნველსაყოფად, დაწესებულება აჯილდოვებს სტუდენტებს კონფერენციაში წარმატებული მონაწილეობისთვის.

რაც შეეხება სამეცნიერო კვლევით პროექტებს, პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებას აქვს სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომელიც დაკომპლექტებულია პროფესიონალებით და ატარებს მრავალფეროვან კვლევებს. მიუხედავად ამისა, სტუდენტები იშვიათად არიან ჩართულნი კვლევით პროექტებში. აღსანიშნავია, რომ სამეცნიერო კვლევითი ცენტრის წევრები გამოთქვამენ სურვილს და მზადყოფნას კვლევაში ჩართონ როგორც ბაკალავრიატის, ასევე მაგისტრატურის სტუდენტები. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება კვლევაში სტუდენტების დაბალი ჩართულობის შესახებ ეფუძნება არა მხოლოდ იუნკერებთან ინტერვიუს შედეგებს, არამედ აკადემიურ პერსონალთან და სამეცნიერო კვლევითი ცენტრის პერსონალთან ინტერვიუებს. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტში „განხორციელებული, მიმდინარე და/ან დაგეგმილი სამეცნიერო კვლევითი პროექტების შესახებ“, გამოთქმულია მოსაზრება, რამდენიმე კვლევით პროექტში უნკერების ჩართვის შესახებ (ზოგადად, და არა ჩართული სტუდენტის სახელისა და გვარის მითითებით), ეს ფაქტი არ დადასტურებულა ზემოაღნიშნული ინტერვიუების დროს.

ეროვნული თავდაცვის აკადემია მხარს უჭერს სტუდენტების ინიციატივებს დამატებით აქტივობებთან დაკავშირებით, როგორიცაა ხელოვნება, სპორტი და ა.შ. მაგალითად, აკადემიას აქვს დრამატული წრე, მუსიკალური ბენდი (რომელიც უზრუნველყოფილია რეპეტიციისთვის საჭირო სივრცითა და აღჭურვილობით). გარდა სავალდებულო სპორტის კომპონენტისა, იუნკერებს შეუძლიათ აირჩიონ სხვა სპორტული აქტივობები: კალათბურთი, ფეხბურთი, ფრენბურთი, რაგბი, მინი-ფეხბურთი, ჭიდაობა, კრივი. დაწესებულებამ შეიმუშავა ინფრასტრუქტურა და შესაბამისი აღჭურვილობა ამ საქმიანობებისთვის. უფრო მეტიც, ეროვნული თავდაცვის აკადემია ხშირად მასპინძლობს შიდა ჩემპიონატებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში. დაწესებულება ასევე აწყობს ადგილობრივ და საერთაშორისო საზაფხულო სკოლებს, საჯარო ლექციებს და სემინარებს და სხვა შესაბამის აქტივობებს, რათა იუნკერებს მისცეს სხვადასხვა გამოცდილებისა და განვითარების შესაძლებლობა.

დაწესებულება ითვალისწინებს დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე სტუდენტების საჭიროებებს და აქვს მათი მხარდაჭერის შესაბამისი მექანიზმები. უპირველეს ყოვლისა, ეროვნული თავდაცვის აკადემიის იუნკერებს აქვთ უნიკალური შესაძლებლობა, სრულად დაფინანსდნენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ, რაც ნიშნავს, რომ აკადემიაში სწავლა უფასოა ყველა სტუდენტისთვის (როგორც ბაკალავრიატზე, ასევე მაგისტრატურაზე). უფრო მეტიც, დაწესებულება უზრუნველყოფს სტიპენდიებს როგორც ყველა იუნკერისთვის, ასევე წარმატებული იუნკერებისთვის. ყველა იუნკერს ეძლევა ფიქსირებული სტიპენდია – ყოველთვიურად 200 ლარი. დამატებითი სტიპენდიები გაიცემა

მაღალი ქულების (მაღალი აკადემიური მოსწრების, ლიდერობისა და PT სტანდარტების) მქონე სტუდენტებისთვის.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის ბრძანების საფუძველზე, სტიპენდიის მინიჭების კრიტერიუმები და ფარგლები შემდეგია:

- A+ (95-100 ქულა + PT 100 ქულა) – 300 ლარი + 200 ლარი ფიქსირებული
- A+ (91-94 ქულა + PT 90 ქულა) – 200 ლარი + 200 ლარი ფიქსირებული
- A+ (81-90 ქულა + PT 80 ქულა) – 100 ლარი + 200 ლარი ფიქსირებული

აკადემიამ გრძელვადიანი გაცვლითი პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისთვის დამატებით 200 ლარი დააწესა. ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე ჩარიცხულ იუნკერებს ასევე ეძლევათ ყოველთვიური სტიპენდია 200 ლარის ოდენობით მთელი კალენდარული წლის განმავლობაში პროგრამის დასრულებამდე.

გარდა ზემოაღნიშნული სტიპენდიისა, იუნკერებს ასევე ენიჭებათ სტიპენდიები, რომლებსაც აფინანსებს სხვა დაწესებულება ან იგივე დაწესებულება, ან სხვა ნომინალური სტიპენდიები. მაგალითად, აკადემიამ დაამტკიცა დონალდ რამსფელდის სახელობის სტიპენდიის მიღების წესი. განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად, იუნკერს გადაეცემა დამატებითი სტიპენდია (100, 200 ან 300 ლარის ოდენობით).

იუნკერებთან და აკადემიის პერსონალთან ინტერვიუების მიხედვით, დისტანციური სწავლების პერიოდში დაწესებულებამ ყველა სტუდენტს მიაწოდა კომპიუტერები. სტუდენტებისთვის, რომლებსაც არ ჰქონდათ ინტერნეტზე წვდომა, ეროვნული თავდაცვის აკადემიამ ასევე უზრუნველყო ინტერნეტის პაკეტები დისტანციური სწავლების პროცესის უწყვეტობის მიზნით. აკადემია ასევე აფინანსებს დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე სტუდენტების სხვა საჭიროებებს (როგორიცაა ოჯახის წევრების მედიკამენტებითა თუ საკვებით უზრუნველყოფა, მშობლების ქირურგიული ოპერაციების სახსრები და ა.შ.).

დაწესებულება ასევე იყენებს აკადემიის კადეტთა წახალისების შემდეგ ფორმებს (რაც ხორციელდება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 მარტის #124 დადგენილებით „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სისტემის სამხედრო მოსამსახურეთა სამხედრო სადისციპლინო წესდების დამტკიცების შესახებ”):

- მადლიერების გამოხატვა
- საპატიო სიგელი
- ფასიანი საჩუქარი
- ფულადი ჯილდო
- მოკლევადიანი დათხოვნა

დაწესებულებამ ასევე განახორციელა სხვადასხვა სახის წახალისება მაგისტრი იუნკერის (სამოქალაქო პირის) წახალისებისთვის, მაღალი აკადემიური მოსწრებისთვის, წარჩინებით დამთავრებისთვის, კულტურული და სამეცნიერო საქმიანობისთვის და ა.შ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკადემიური/მოწვეული პერსონალის დატვირთვა – დანართი N 4.2.1;
- იუნკერებთან საკონსულტაციო შეხვედრების თემები - დანართი N 5.3;

- კონსულტაციების განრიგი – დანართი N 5.6;
- მემორანდუმები - დანართი N 7.1.1;
- კონფერენციების სია - დანართი N 6.1.6;
- აკადემიის მიერ ჩატარებული იუნკერებისა კვლევის შედეგები - დანართი N 2.2.3;
- კურსდამთავრებულთა კარიერული და აკადემიური განვითარების კვლევა - დანართი N 2.2.3;
- განხორციელებული აქტივობები, პროექტები და იუნკერების ინიციატივები – დანართი N 5.5;
- განხორციელებული სტაჟირებები და პრაქტიკული სამუშაო პროექტები – დანართი N 5.7;
- სოციალურად დაუცველი იუნკერების მხარდაჭერის ინსტრუმენტები – დანართი N 5.2;
- ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის იუნკერთა სტიპენდია – დანართი N 5.8;
- ეროვნული თავდაცვის აკადემიის თვითშეფასების ანგარიში;
- ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების შედეგები;
- ვებგვერდი www.seu.edu.ge

**რეკომენდაციები:**

- სამეცნიერო კვლევით პროექტებში ჩართულნი უნდა იყვნენ როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის (განსაკუთრებით მაგისტრატურის) სტუდენტები;
- კარიერული მხარდაჭერის მექანიზმების გასაძლიერებლად და გასამრავალფეროვნებლად, ასევე დასაქმების შესაძლებლობებისთვის, განსაკუთრებით სამოქალაქო სექტორში, უნდა შეიქმნას კარიერული განვითარების ცენტრი/ერთეული;
- უნდა გაძლიერდეს და გაუმჯობესდეს საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები, განსაკუთრებით მაგისტრატურის სტუდენტებისთვის.

**რჩევები:**

- სასურველია აკადემიამ შეინარჩუნოს უკეთესი კავშირი კურსდამთავრებულებთან და მეტად ჩართოს ისინი თვითშეფასების პროცესებში.

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

- აკადემიამ შეიმუშავა უამრავი აქტივობა სწავლების მიმზიდველობისა და სტუდენტების დონის ასამაღლებლად: საზაფხულო სკოლები, გაცვლითი პროგრამები, სტიპენდიები, უფასო სწავლა, კამპუსში განთავსება, შესანიშნავი ინფრასტრუქტურა.

**შეფასება**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 6. კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, მისი ტიპისა და კონკრეტული დარგ(ებ)ის გათვალისწინებით, მუშაობს კვლევითი ფუნქციების გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს სათანადო პირობებს კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად და აუმჯობესებს კვლევითი საქმიანობის ხარისხს.

### 6.1 კვლევითი საქმიანობა

- უსდ, მისი ტიპისა და დარგის სპეფიციკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას.
- სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა
- უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ამჟამად ეროვნული თავდაცვის აკადემიას აქვს სასწავლო უნივერსიტეტის სტატუსი და ამიტომ არ ახორციელებს უმაღლესი განათლების მესამე დონის პროგრამებს. შესაბამისად, არ არის წარმოდგენილი სადოქტორო პროგრამების დებულებები.

ეროვნული თავდაცვის აკადემია ახორციელებს საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს, რაც დაწესებულებისგან მოითხოვს ადგილზე კვლევის მხარდაჭერას და სამეცნიერო კვლევის გაძლიერებას, სტრატეგიული გეგმის (7 წლიანი) და სამოქმედო გეგმის (3 წლიანი) მიზნების თანახმად.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად აკადემიამ 2018 წელს დააარსა სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომელიც წარმოადგენს თავდაცვის ეროვნული აკადემიის სტრუქტურულ ერთეულს. თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ „სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დაარსების მიზეზი იყო თავდაცვის ძალებში სტრუქტურის შექმნა, რომელიც შეისწავლიდა სამეცნიერო კონტექსტში და გააანალიზებდა არსებულ საფრთხეებს, პოლიტიკურ და სამხედრო გამოწვევებს სტრატეგიულ დონეზე“. სამოქმედო გეგმაში, რომელიც ცენტრის მიერ ცალკე არის შემუშავებული, განსაზღვრულია რამდენიმე მიზანი:

- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და ახალგაზრდა მეცნიერების ხელშეწყობა;
- კონფერენციების მოწყობა;
- ადგილობრივ და საერთაშორისო დაწესებულებებთან ერთობლივი კვლევების განხორციელება;
- აკადემიური პერსონალის კონფერენციებში მონაწილეობის ხელშეწყობა;
- აკადემიური პერსონალისთვის კვლევითი საგრანტო კონკურსების მოძიება;
- აკადემიის თანამშრომლებისთვის სამეცნიერო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე კონსულტაციებისა და ტრენინგების ორგანიზება.

ცენტრს აქვს სრულ განაკვეთზე მომუშავე მთავარი მეცნიერის სამი პოზიცია. 2018 წლიდან ცენტრის მიერ ორგანიზებული ძირითადი საქმიანობაა ადგილობრივი, სამხედრო და საერთაშორისო კონფერენციები. წარმოდგენილ დოკუმენტებში ექსპერტთა ჯგუფმა იხილა აკადემიური პერსონალის ან მთავარი მეცნიერების მიერ განხორციელებული კვლევითი აქტივობების ჩამონათვალი, ცამეტი მიმდინარე, შვიდი დასრულებული და რამდენიმე დაგეგმილი კვლევა. ამ დოკუმენტში მითითებულია, რომ იუნკერები ჩართულნი იყვნენ რამდენიმე კვლევაში. თუმცა ინტერვიუების დროს გაირკვა, რომ იუნკერებს ამ აქტივობებში აქამდე მონაწილეობა არ მიუღიათ, მაგრამ ისინი აქტიურად მონაწილეობენ კვლევითი ცენტრის მიერ ორგანიზებულ კონფერენციებში. ეროვნული თავდაცვის აკადემია ახორციელებს სამაგისტრო პროგრამებს თავდაცვის ანალიზში, სახელმწიფო რესურსების მართვაში, უსაფრთხოების კვლევებში, ძალიან მნიშვნელოვანია იუნკერების მხარდაჭერა, რათა მათ უფრო აქტიურად მიიღონ მონაწილეობა კვლევით საქმიანობაში.

საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმები მოიცავს კვლევის მეთოდებს შესაბამისი აკადემიური საათებითა და სასწავლო მასალით. ხელმისაწვდომია სამაგისტრო ნაშრომის შესრულების ინსტრუქცია, რომელიც მოიცავს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის მოვალეობებსა და პასუხისმგებლობებს. დაწესებულებაში ვიზიტის დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ უტარდებათ სისტემატური კონსულტაციები მათი ხელმძღვანელებისგან სამაგისტრო კვლევის წერის პროცესში.

სტუდენტებთან და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრების საფუძველზე ცენტრი განსაზღვრავს, რომელი მიმართულებებია დაწესებულების პრიორიტეტი. კვლევის ძირითადი პრიორიტეტები დარგობრივია: ეროვნული უსაფრთხოება, თავდაცვის ანალიზი, მეტი თემები პოლიტიკური მეცნიერებიდან და საერთაშორისო საქმეები.

თვითშეფასების ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ეროვნული თავდაცვის აკადემია აპირებს წაახალისოს აკადემიური პერსონალი უფრო აქტიურად ჩაატაროს კვლევითი პროექტები. აკადემიაში ყველა განხორციელებული კვლევითი სამუშაო ხელს უწყობს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას. ამის მტკიცებულება არის ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ჩატარებული კონფერენციების გრძელი სია, სადაც მონაწილეთა უმრავლესობა იუნკერია.

ეროვნული თავდაცვის აკადემიას აქვს აკადემიური პერსონალის დატვირთვის წესი, რომლის საფუძველზეც პერსონალს მოეთხოვება სამეცნიერო/კვლევითი სამუშაოების შესრულება, რაც შეიძლება გამოიხატოს შემდეგ საქმიანობაში:

- აკადემიის სახელით სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიის ან სახელმძღვანელოს შემუშავება/თარგმნა;
- იუნკერის მომზადება სამეცნიერო კონფერენციისთვის;
- აკადემიის სახელით სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზება;
- აკადემიის სახელით სამეცნიერო ნაშრომის გამოცემა;
- კვლევითი პროექტის განხორციელება, კვლევით პროექტში მონაწილეობა;
- აკადემიის სამეცნიერო ჟურნალის სტატიის მიმოხილვა.

| |
|---|
| აკადემიური პერსონალი აფილირებულია ეროვნული თავდაცვის აკადემიასთან, ამიტომ მათ მიერ განხორციელებული ყველა სამეცნიერო საქმიანობა ხორციელდება აკადემიის სახელით. რაც შეეხება სამეცნიერო პერსონალს, ეს არის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის პერსონალი, რომელიც აკადემიის სახელით ახორციელებს სამეცნიერო კვლევებს ან ხელს უწყობს მათ ჩატარებას. გარდა ამისა, სამეცნიერო პერსონალი ჩართულია სასწავლო პროცესში ლექცია-სემინარების ჩატარების კუთხით. აკადემიის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო მოღვაწეობა აისახება თვითშეფასების დანართებში. თუმცა, ამ ჩამონათვალში ვერ იქნა წარმოდგენილი იმ პერსონალის ნამუშევრები, რომლებიც სხვადასხვა დაწესებულებაში არიან აფილირებული.<br><br>სამეცნიერო კვლევითმა ცენტრმა უნდა გაითვალისწინოს, რომ თარგმანი, სახელმძღვანელოების მომზადება ან კონფერენციის ორგანიზება არ განიხილება კვლევით საქმიანობად. აკადემიური პერსონალი უფრო მეტად უნდა იყოს ორიენტირებული აკადემიური სტატიების გამოქვეყნებაზე და მონაწილეობა მიიღოს კვლევით პროექტებში.<br><br>რამდენადაც სამეცნიერო კვლევითი ცენტრის სამოქმედო გეგმა მოიცავს 2021-2023 წლებს, გასაგებია, რომ პანდემიამ რეალურად შეაფერხა მრავალი პროცესი ქვეყანაში, თუმცა ცენტრი უნდა გახდეს უფრო აქტიური ერთეული ეროვნული თავდაცვის აკადემიის სტრატეგიული მიზნების მისაღწევად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>- თვითშეფასების ანგარიში;<br>- სამაგისტრო ნაშრომის ინსტრუქციები, დანართი N 3.2.7<br>- დაწესებულებაში ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებები;<br>- სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი - დანართი N 6.1.8.<br>- ეროვნული თავდაცვის აკადემიის 7-წლიანი სტრატეგიული და 3-წლიანი სამოქმედო გეგმები - დანართი N 1.1.<br>- სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მიერ შემუშავებული 2022-2023 წლების სამოქმედო გეგმა - დანართი N 6.1.2.<br>- მემორანდუმები - დანართი N 7.1.1.<br>- სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დებულება - დანართი N 2.1.11<br>- აკადემიის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო საქმიანობა - დანართი N 6.1.4.<br>- აკადემიური პერსონალის დატვირთვის წესი – დანართი N 4.2.1.<br>- განხორციელებული, მიმდინარე და/ან დაგეგმილი სამეცნიერო-კვლევითი პროექტები - დანართი N 6.1.1.<br>- კონფერენციებისა და სამეცნიერო ნაშრომების კრებული - დანართი N 6.1.5 |
| **რეკომენდაციები:**<br>- ეროვნულ თავდაცვის აკადემიას სჭირდება ძლიერი პოლიტიკა დაწესებულების კვლევითი შესაძლებლობების განვითარებისთვის. |

**რჩევები:**

- კვლევითმა ცენტრმა უნდა მოიზიდოს მეტი პარტნიორი და განახორციელოს ერთობლივი კვლევითი პროექტები;
- კვლევის ეთიკა უნდა იყოს შემუშავებული და დოკუმენტირებული.

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

პრაქტიკა, რომელი განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

**შეფასება**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით და სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობაში.
- უსდ ზრუნავს კვლევითი/განვითარების/ შემოქმედებითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციაზე.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

როგორც აღინიშნა, კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად აკადემიაში შეიქმნა სამეცნიერო კვლევითი ცენტრი, რომლის ძირითადი ფუნქციაა კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა. დებულების თანახმად, ცენტრის მთავარი პასუხისმგებლობაა „აკადემიური და მოწვეული პერსონალის, ასევე იუნკერების კვლევითი პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა და მათი სამეცნიერო კარიერის პრესტიჟის ამაღლება“. ცენტრმა ხელი მოაწერა მემორანდუმებს 25 დაწესებულებასთან ახალი სამეცნიერო კონტაქტების დასამყარებლად. კვლევითი ცენტრის მიერ ორგანიზებული იყო ინფორმაცია დონორი ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც უზრუნველყოფენ კვლევით გრანტებს და ის ხელს უწყობს ამ ინფორმაციის გავრცელებას პერსონალში, აწყობს კონფერენციებს ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე და ა.შ. გარდა ამისა, ეროვნული თავდაცვის აკადემია ფლობს კვლევისთვის აუცილებელ ობიექტებს, როგორიცაა ფიზიკის, ქიმიის, აეროჰიდრავლიკის, მექანიკის ინჟინერიისა და ელექტროგამტარობის ლაბორატორიები.

კვლევის ცენტრმა შეიმუშავა ცალკე სამოქმედო გეგმა, სადაც აღმოვაჩინეთ ორი სტრატეგიული მიზანი:

1. სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობა, სამი მიზნით:

ა) კვლევითი საქმიანობების ხელშეწყობა;

ბ) ახალგაზრდა მეცნიერთა მხარდაჭერა;

გ) საერთაშორისო პარტნიორ უნივერსიტეტებთან და ცენტრებთან ერთობლივი კვლევის ჩატარება.

2. ეროვნული თავდაცვის აკადემიის შესახებ ცნობიერების ამაღლება სამეცნიერო წრეებში - ამ მიმართულების მიზნებია:

ა) პარტნიორი ორგანიზაციების რაოდენობის გაზრდა;

ბ) კონფერენციების მოწყობა;

გ) საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილე აკადემიური პერსონალის მხარდაჭერა.

დაწესებულებაში ვიზიტისას ცენტრის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ისინი გააქტიურდნენ 2022 წელს, რადგან პანდემიის გამო დაგეგმილი პროექტები გადაიდო.

ცენტრის ძირითადი პრიორიტეტები აკადემიურ პერსონალთან ერთად და NATO-ს DEEP-ის წარმომადგენლების დახმარებით განისაზღვრა. თვითშეფასების ანგარიშში მოცემულია კვლევის პრიორიტეტები საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისთვის.

ცენტრმა შეიმუშავა აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობისთვის შიდა გრანტების გაცემის დებულება. ექსპერტთა ჯგუფის რჩევა იქნება, კვლევითი პროექტების შეფასების ზუსტი ინდიკატორების შემუშავება განაცხადების კონკურსის არსებობის შემთხვევაში. დაწესებულებაში ვიზიტის დროს გაირკვა, რომ ზოგიერთმა კვლევითმა პროექტმა მიიღო შიდა დაფინანსება, თუმცა ეს უფრო ხელმძღვანელობის ნება იყო, ვიდრე კვლევითი ცენტრის მიერ განხორციელებული პროცედურა. აკადემიამ SWOT ანალიზში „კვლევის მწირი დაფინანსება“ მიუთითა შესაძლებლობად. ეს ნამდვილად სუსტი მხარეა და უნდა ჩასწორდეს.

აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევაში ჩართვის ვალდებულება დოკუმენტირებულია სამუშაო დატვირთვის დებულებით.

დაწესებულებაში ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებისას მკვლევარებმა წარმოადგინეს ყოვლისმომცველი კვლევის იდეა „ტოტალური თავდაცვის“ შესახებ, რაც დიდად დაეხმარება საქართველოს არსებული მდგომარეობის ანალიზს და ქვეყნის უსაფრთხოების უკეთესი სტრატეგიის შემუშავებას.

თვითშეფასების ანგარიშში ეროვნული თავდაცვის აკადემია მიუთითებს, რომ კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებით დაწესებულება ჩამორჩება, ამიტომ გეგმავს ამ მიმართულებით უფრო გააქტიურებას. გარდა ამისა, დაწესებულებამ უნდა გააცნობიეროს, რომ კვლევით საქმიანობაში არ შეიძლებოდა წარმოედგინა იმ პერსონალის კვლევები, რომლებიც სხვადასხვა დაწესებულებაში არიან აფილირებული.

არ არსებობს მეთოდოლოგია, თუ როგორ განსაზღვრავს ეროვნული თავდაცვის აკადემია თავის კვლევით პრიორიტეტებს. არ არსებობს ეთიკური რეგულაციები კვლევითი საქმიანობისთვის. ეროვნული თავდაცვის აკადემიამ უნდა შეიმუშაოს და დაამტკიცოს ფორმალური პროცედურები კვლევის ეთიკის შესახებ და უზრუნველყოს, რომ შიდა დაინტერესებულმა მხარეებმა საქმიანობები წარმართონ ამის შესაბამისად (როგორიცაა ხელმოწერილი თანხმობის ფორმები ყველა სუბიექტისთვის, კვლევის მონაცემების კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა და ა.შ.). სამეცნიერო კვლევითი ცენტრი შეიძლება იყოს ერთეული, რომელიც პასუხისმგებელია ამ პროცედურების შესრულებაზე. გარდა ამისა, აკადემიას აქვს საკუთარი სტამბა და აკადემიურ პერსონალს აძლევს შესაძლებლობას გამოაქვეყნოს თავისი ნამუშევრები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- სამეცნიერო კვლევითი ცენტრის დებულება - დანართი N 2.1.11
- სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი - დანართი N 6.1.8.

- საგრანტო პროექტების ჩამონათვალი - დანართი N 6.1.7.
- ინფორმაცია განხორციელებული და დაგეგმილი კონფერენციების შესახებ - დანართი N 6.1.6
- კონფერენციებისა და სამეცნიერო ნაშრომების კრებული - დანართი N 6.1.5.
- აკადემიის სახელით გამოცემული წიგნების ნუსხა - დანართი N 6.1.5
- სამეცნიერო-კვლევითი პროექტებისთვის გრანტების გაცემის დებულება - დანართი N 6.9.1.
- პერსონალის მიერ საგრანტო პროექტების დაგეგმვის, მოპოვებისა და განხორციელების ხელშეწყობა - დანართი N 6.1.9.
- სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის სამოქმედო გეგმა (2022-2023 წწ.) - დანართი N 6.1.2.
- მემორანდუმები - დანართი N 7.1.1.
- ჩატარებული კვლევის ანგარიში (აკადემიური პერსონალის აფილირების გათვალისწინებით) – დანართი N 6.1.4.

**რეკომენდაციები:**

- აკადემიამ უნდა განამტკიცოს კვლევითი სტრატეგიის თანმიმდევრული განხორციელება;

**რჩევები:**

- აკადემიამ ინტერნაციონალიზაციის პროცესი უნდა გახადოს სისტემატური;
- აკადემიამ უნდა გამოაცხადოს შიდა საგრანტო კონკურსი წელიწადში ორჯერ მაინც და შეიმუშაოს გამჭვირვალე და სამართლიანი ინდიკატორები კვლევითი განაცხადების შესაფასებლად;
- აკადემიამ SWOT ანალიზში „კვლევის მწირი დაფინანსება“ უნდა მიუთითოს სუსტ მხარედ და არა შესაძლებლობად.

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

პრაქტიკა, რომელი განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

**შეფასება**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება**

- უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ეროვნული თავდაცვის აკადემიამ შეიმუშავა დოკუმენტი „სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების წესი“, რომელშიც აღწერილია აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტიულობის შეფასების ინდიკატორები:

- სამეცნიერო პუბლიკაციები ქართულ და უცხოურ გამოცემებში;

- სამეცნიერო ნაშრომები გავლენის ფაქტორის მქონე გამოცემებში;
- კვლევითი გრანტები;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა;
- გამოქვეყნებული სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები;
- ციტირების ინდექსი.

გარდა ამისა, ეროვნული თავდაცვის აკადემიის აკადემიური პერსონალი სამოქალაქო პერსონალის შეფასების სახელმძღვანელოს საფუძველზე ავსებს თვითშეფასების დოკუმენტს, რომელსაც წარუდგენს შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეულის ხელმძღვანელს, რომელიც თავის მხრივ რექტორის მოადგილესთან ერთად აფასებს აკადემიურ პერსონალს. აკადემიური პერსონალი ყოველი სემესტრის ბოლოს აკადემიის შტაბ-ბინის G3-G2 სამსახურის სამოქალაქო განათლების დეპარტამენტს წარუდგენს ინდივიდუალური დატვირთვის წერილობით თვითშეფასებას, რომელიც შეიცავს ინფორმაციას სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებაც. ამ ინფორმაციას ამუშავებს აკადემიის შტაბ-ბინის G3-G2 სამსახურის სამოქალაქო მომზადების დეპარტამენტი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

ეროვნული თავდაცვის აკადემიას აქვს პროფესორების ატესტაციის პროცედურა, რომელსაც ემატება ინდივიდის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის თვითშეფასების ფორმა. ამ წესის მიხედვით პროფესორი წლის ბოლოს წარადგენს თვითშეფასების წლიურ ანგარიშს, რომელშიც მოცემულია ინფორმაცია მიმდინარე წელს მისი პროფესიული, აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობისა და მიღწევების, კონფერენციებში მონაწილეობის, სტატიების გამოქვეყნების, ადგილობრივი ან საერთაშორისო გრანტების მოპოვების, იუნკერის ხელმძღვანელობის და სხვა საქმიანობის შესახებ. თვითშეფასების ანგარიშის მეშვეობით პროფესორმა უნდა აღწეროს და შეაფასოს წლის განმავლობაში განხორციელებული საგანმანათლებლო საქმიანობა და მიუთითოს კონკრეტული ინფორმაცია საანგარიშო პერიოდში მის მიერ შესრულებული კვლევითი საქმიანობის შესახებ. ზემოაღნიშნულ თვითშეფასებას აკადემიური პერსონალი წარუდგენს საატესტაციო კომისიას, რომელიც აფასებს მათ წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე. ეს მონაცემები გამოიყენება ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ აკადემიური პერსონალის შემდგომი განვითარებისთვის და დაწესებულების მიერ კვლევისთვის.

სამეცნიერო კვლევითი ცენტრი ექვემდებარება ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორს და რეგულარულად წარუდგენს ინფორმაციას განხორციელებული და დაგეგმილი სამეცნიერო საქმიანობის შესახებ. სამეცნიერო კვლევითი ცენტრის პერსონალი ეროვნული თავდაცვის აკადემიის მიერ დადგენილი წესით, აკადემიის სამოქალაქო პერსონალის შეფასების სახელმძღვანელოს საფუძველზე ატარებს თვითშეფასებას და ასევე ფასდება მათი ხელმძღვანელისა და აკადემიის რექტორის მიერ.

ექსპერტთა ჯგუფი აღიარებს, რომ ეროვნული თავდაცვის აკადემიამ დაადგინა და ოფიციალური გახადა სამეცნიერო კვლევის შედეგების შეფასება და აკადემიური პერსონალი იყენებს ამ ინსტრუქციებს. მაგრამ ეს მიდგომა საკმაოდ ზოგადია, რადგან კვლევითი აქტივობები უნდა შეფასდეს გაზომვადი კრიტერიუმებით და თითოეული აქტივობისთვის მინიჭებული კოეფიციენტებით.

| |
|---|
| პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა უნდა განისაზღვროს აკადემიურ ნაშრომთა რაოდენობით, მათი გავლენით მეცნიერების განვითარებაზე, მეცნიერული აქტიურობის გავლენით საზოგადოების განვითარებაზე და ა.შ.<br>მე-6 სტანდარტთა მიმართებით, ეროვნული თავდაცვის აკადემიის არგუმენტირებული პოზიციის საპასუხოდ:<br>ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ კონფერენციების ორგანიზება, თარგმნა და სახელმძღვანელოების შემუშავება არ არის საკმარისი კვლევითი აქტივობების განვითარებისთვის. აკადემიური პერსონალი უფრო მეტად უნდა იყოს ორიენტირებული კვლევის განხორციელებაზე, აკადემიური სტატიების გამოქვეყნებაზე და კვლევით პროექტებში მონაწილეობაზე.<br>ეროვნულმა თავდაცვის აკადემიამ უნდა შეიმუშაოს შიდა კვლევითი გრანტების გაცემის დებულება, რომელიც მოიცავს კვლევითი განაცხადების შეფასების ინდიკატორებს.<br>ექსპერტთა ჯგუფი აფასებს დაწესებულების მოტივაციას განვითარდეს, თუმცა პოტენციალი და მოტივაცია ვერ გახდება ავტორიზაციის შეფასების პროცესის წინაპირობა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>- სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების დებულება - დანართი N 6.1.8<br>- საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს შეფასების წესი - დანართი N 2.2.2.<br>- შეფასების შედეგები - დანართი 4.1.7<br>- www.eta.edu.ge<br>- პროფესორის ატესტაციის წესი - დანართი N 4.1.7.<br>- ეროვნული თავდაცვის აკადემიის თვითშეფასების ანგარიში;<br>- დაწესებულებაში ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br>- აკადემიამ უნდა შეიმუშაოს გაზომვადი კრიტერიუმები აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისთვის. |
| **რჩევები:**<br>არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**<br>გამოცდილება, რომელიც განსაკუთრებით შედეგიანია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. |
| **შეფასება**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☒ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 7.1. მატერიალური რესურსები |
|---|
| ○ ეროვნული თავდაცვის აკადემიას საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი (უძრავი და მოძრავი ქონება), რომელიც გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული<br>მიზნების მისაღწევად, სათანადოდ პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ სტუდენტთა რაოდენობას.<br>○ ეროვნული თავდაცვის აკადემიაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.<br>○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.<br>○ ეროვნული თავდაცვის აკადემიას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის. |
| აკადემია გორში მდებარეობს და აღჭურვილია თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და აღჭურვილობით.<br><br>„საქართველოს თავდაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე აკადემია შენობის ტერიტორიაზე ასრულებს კონკრეტულ სამხედრო მოვალეობებსა და დავალებებს. ამიტომ, გარდა სასწავლო და სხვა ტიპის სივრცეებისა, არსებობს სამხედრო ამოცანების შესრულებისთვის საჭირო ობიექტები და ინფრასტრუქტურაც. ისინი გამოიყენება თავდაცვის სამინისტროს მიერ აკადემიისთვის დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად. ამრიგად, ისინი ამოღებულია ავტორიზაციის პროცესიდან.<br><br>აკადემია შედგება შემდეგი შენობებისგან: საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების შენობები, ბატალიონის შტაბი, საერთო საცხოვრებლები, ბიბლიოთეკა, საგამოცდო ცენტრი, სპორტული, საკონფერენციო და სასწავლო დარბაზები. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ დაწესებულების საგანმანათლებლო ფართი არის 6.596 კვ.მ, ხოლო დამხმარე ფართი 10.818.1 კვ.მ. თუმცა შეუძლებელი იყო საჯარო რეესტრიდან დოკუმენტაციის შემოწმება თავდაცვის სამინისტროს სპეციალური ნებართვის არარსებობის გამო (სერტიფიკატი N2).<br><br>სასწავლო შენობებში განთავსებულია შემდეგი ტერიტორიები: ფოიე, თეორიული სასწავლო საკლასო ოთახები, ადმინისტრაციული სათავსოები, ფართი ჯგუფური მუშაობისთვის, სანიტარული ობიექტები, დარგის სპეციფიკის შესაბამისი ლაბორატორიები, აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამუშაო ოთახები. სასწავლო შენობებში საწყობების განლაგება უზრუნველყოფს სასწავლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ მართვას.<br><br>ყველა შენობა აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო აღჭურვილობით, რომელიც მოქმედია და განახლდა 2021 წლის სექტემბერში. შემდეგი შემოწმება დაგეგმილია 2022 წლის სექტემბერში.<br><br>ასევე, ყველა კორპუსს აქვს ევაკუაციის გეგმა, რომელიც კარგად არის ჩამოყალიბებული, მაგრამ მხოლოდ ქართულ ენაზეა. ვინაიდან ეროვნული თავდაცვის აკადემია თანამშრომლობს უცხოურ ინსტიტუციებთან და მასპინძლობს უამრავ უცხოელ სტუმარსა და სტუდენტს, რომლებიც ჩართულნი არიან გაცვლით პროგრამებში, სასურველია ევაკუაციის გეგმა მოწოდებული იყოს ინგლისურ ენაზეც, საგანგებო სიტუაციის შემთხვევისთვის, რათა ხელი შეუწყოს უცხოელების ევაკუაციას.<br><br>შენობების უმეტესობას აქვს საგანგებო გასასვლელი და ევაკუაციის ნიშნები, თუმცა ზოგიერთ შენობას ეს ჯერ კიდევ არ აქვს. აუცილებელია ყველა შენობაში საევაკუაციო ნიშნების |

განთავსება. ასევე, თითქმის ყველა კორპუსს აქვს საავარიო გასასვლელი, გარდა საგამოცდო ცენტრისა, საავადმყოფოსა და სპორტული დარბაზისა. რეკომენდებულია ყველა შენობაში საევაკუაციო კარის დაყენება.

სახანძრო უსაფრთხოების გეგმას ამტკიცებს აკადემიის რექტორი (18.06.2021) და ხანძრის შემთხვევაში უსაფრთხოების წესებსა და მოქმედებებს ასევე ამტკიცებს აკადემიის რექტორი (21.01.2021). „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შინაგანი სამხედრო ძალების წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 20 აგვისტოს N519 განკარგულების 113-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ყველა დანაყოფს უნდა ჰქონდეს სახანძრო უსაფრთხოების გეგმა, რომელსაც ამტკიცებს დანაყოფის უფროსი.

ყველა კორპუსს აქვს შესასვლელი შშმ პირებისთვის, თუმცა მათთვის ადაპტირებული სივრცე არ არის. არ არის ლიფტი ან სხვა მოწყობილობა, რომელიც მისცემს იუნკერს ლექციებზე დასწრების შესაძლებლობას. მხოლოდ საცურაო აუზიანი სპორტული დარბაზი არის აღჭურვილი ლიფტით და კარგად არის მოწყობილი.

აკადემიის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ მათ არ ჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და არ იღებენ შშმ სტუდენტებს დაწესებულების სპეციფიკიდან გამომდინარე. მაგრამ შეიძლება საჭირო გახდეს ლექციის უზრუნველყოფა ან თუნდაც დროებითი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იუნკერის ყოლის საჭიროება, ამდენად პროცესი არ უნდა შეწყდეს ობიექტის არარსებობის გამო.

აკადემიის ტერიტორიის გარეთ ასევე არის კარგი საპარკინგე ადგილი, მაგრამ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის პარკინგი არ არის.

აღსანიშნავია, რომ ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილია ლექციების ჩასატარებლად საჭირო რესურსებით (როგორიცაა მაგიდები, სკამები, პროექტორი, დაფა, გათბობა, კონდიციონერი და ა.შ.). ზოგიერთ აუდიტორიას აქვს სმარტ დაფები და ტელევიზორი. არის ერთი აუდიტორია ინოვაციებისთვის, სადაც გეგმავენ დრონებისა და ინოვაციური აღჭურვილობის გამოყენების სწავლებას.

თუმცა, ყველა კლასში განთავსებულია ვიდეოკამერები და ლექციების დროს ტარდება ვიდეო მონიტორინგი, რაც ეწინააღმდეგება „პერსონალური ინფორმაციის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონს, რომლის მე-12 მუხლშიც წერია, რომ ვიდეო მონიტორინგი უნდა ჩატარდეს ტესტირების/გამოცდის მიზნით. ამ მუხლის მე-3 პუნქტში ნათქვამია, რომ ვიდეო მონიტორინგი შეიძლება განხორციელდეს გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც არსებობს პირის უსაფრთხოების, ქონებასთან ან გამოცდასთან დაკავშირებული მიზეზები. ამ შემთხვევაში ყველა ჩართული პირი უნდა იყოს ინფორმირებული წერილობითი შეტყობინების გზით და ყველგან, სადაც ვიდეო მონიტორინგი ტარდება, უნდა განთავსდეს სპეციალური ნიშნები.

აკადემიის ჰოსპიტალში არის პაციენტთა ოთახები, სადაც შესაძლებელია 2 პაციენტის განთავსება და ოთახი კეთილმოწყობილია ყველა საჭირო ინვენტარით. გარდა ამისა, ინფექციით დაავადებული პაციენტებისთვის არის იზოლირებული ოთახები, რათა თავიდან იქნეს აცილებული სხვების დაინფიცირება. ვიზიტის დროს იზოლირებულ ოთახში ერთი პაციენტი იმყოფებოდა. საავადმყოფოს აქვს საკუთარი ქირურგიული ოთახი მსუბუქი მანიპულაციების ჩასატარებლად, ასევე სასწრაფო დახმარებისა და სტომატოლოგიური მკურნალობის ოთახი. ყველა ოთახი კეთილმოწყობილია საჭირო ინვენტარით. სპეციალურ ყუთში მოთავსებული ყველა მედიკამენტი სიაშია შეტანილი და აქვს მოქმედების ვადა. ქირურგიისა და სტომატოლოგიურ ოთახს აქვს საკუთარი სტერილიზაციის ოთახი, რომელიც

უზრუნველყოფს ინსტრუმენტების სტერილიზებას. გადაუდებელი დახმარების განყოფილებას აქვს სპეციალური სასწრაფო დახმარების ნაკრები. ყოველთვის არის მინიმუმ ერთი მორიგე ექიმი, რომელსაც შეუძლია საჭირო დახმარების გაწევა.

სარემონტო სამუშაოების გამო, არქივი, ძირითადი შენობების გარდა, დროებით განლაგებულია ერთ-ერთ სივრცეში. არის ერთი პირი, რომელიც პასუხისმგებელია დოკუმენტების მოწესრიგებაზე. საცავი არ არის შესაფერისი დოკუმენტების დაარქივებისთვის, რადგან ამისთვის საკმარისი ადგილი არ არის. დოკუმენტები ინახება 1991 წლიდან ფიზიკური ფორმით. 1993 წლიდან მოყოლებული საბუთები, რომლებიც ადასტურებს მიღებას, დამთავრებას და პოზიციის შეცვლას, არის ელექტრონული ფორმატით. თუმცა არ არსებობს დოკუმენტების სია ან რაიმე მონაცემთა ბაზა, რომელიც ხელს უწყობს რომელიმე კადეტზე/იუნკერზე ინფორმაციის მოძიებას.

როგორც ინტერვიუში აღინიშნა, არქივი განახლებულ შენობაში სექტემბრამდე გადაინაცვლებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- მოძრავ ქონებაზე საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ბუნებრივი აირის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები;
- სანიტარული ნორმების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სახანძრო უსაფრთხოება, სამედიცინო დახმარება და წესრიგის დაცვის მექანიზმები;
- სანიტარული ინსპექციის გეგმა (სანიტარული მონიტორინგი, დეზინფექცია, სასმელი წყლისა და საცურაო წყლის ლაბორატორიული შემოწმება ტარდება დამტკიცებული გეგმის მიხედვით);
- პრაქტიკა/ხელშეკრულება დადებული კვლევით-სამეცნიერო ობიექტთან;
- აკადემიის მიერ ჩატარებული იუნკერებისა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები;
- გათბობისა და ვენტილაციის სისტემის გამართული ფუნქციონირებისა და მუშაობის ვადის დამადასტურებელი დოკუმენტი - ევაკუაციის გეგმების დამტკიცების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- G3/G2 შტაბის უსაფრთხოების განყოფილების დებულება/სამმართველოს უფროსის ფუნქცია-მოვალეობები, საავადმყოფოს უფროსის ფუნქცია და მოვალეობები;
- სახანძრო და სამედიცინო აღჭურვილობის დოკუმენტაცია, უსაფრთხოების კამერები (ინვენტარიზაციის პროტოკოლი);
- დასკვნები: შენობის უსაფრთხოების შესახებ, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების შესახებ; ადაპტირებული გარემო -https://eta.edu.ge/360/

**რეკომენდაციები:**

- აუცილებელია ყველა შენობაში საევაკუაციო ნიშნების განთავსება;
- ყველა შენობას უნდა ჰქონდეს ავარიული გასასვლელები;
- არქივი დროულად უნდა განახლდეს დოკუმენტების ნორმალური განთავსებისა და მონაცემთა ბაზების მუშაობის უზრუნველსაყოფად;
- სახანძრო უსაფრთხოების გეგმა უნდა დაამტკიცოს საქართველოს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა;
- ყველა შენობა და ავტოსადგომი ადაპტირებული უნდა იყოს შშმ პირებისთვის;
- აკადემიამ ან უნდა შეწყვიტოს ლექციების ვიდეო მონიტორინგი, ან გამონაკლისი შემთხვევის დადასტურების შემთხვევაში, ამის შესახებ აცნობოს ყველა სტუდენტს და

| |
|---|
| პერსონალს და მოითხოვოს ამის დამადასტურებელი ხელმოწერა და ყველგან, სადაც ვიდეომონიტორინგი ტარდება, უნდა განათავსოს სპეციალური ნიშნები. |
| **რჩევები:**<br>- ევაკუაციის გეგმა უნდა იყოს ქართულ და ინგლისურ ენებზე |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**<br>- ეროვნული თავდაცვის აკადემიას აქვს კარგად განვითარებული საცხოვრებელი, საავადმყოფო, რეკრეაციული და სპორტული ობიექტები. |
| **შეფასება**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| **7.2. ბიბლიოთეკის რესურსები** |
| ○ ბიბლიოთეკის გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>აკადემიის ბიბლიოთეკა შეესაბამება სტუდენტების საჭიროებებს. სილაბუსებში ნახსენები მთელი ლიტერატურა ადგილზე იყო. შენობებში იყო ბევრი მატერიალური რესურსი, რომლებიც შეესაბამებოდა სასწავლო პროცესს. სასწავლო მასალის გარდა, არსებობს კარგი ლიტერატურა (მხატვრული), რომელიც იუნკერებს ცოდნის გაფართოებაში დაეხმარება. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს აღმოჩნდა, რომ თითოეულ იუნკერს ეძლევა პერსონალური პორტატული კომპიუტერი, სადაც ჩამოტვირთულია ყველა პროგრამა სხვადასხვა ბიბლიოთეკაში შესასვლელად.<br>აკადემიის ბიბლიოთეკა მოიცავს სტამბას, რომელიც ასევე აქტიურად არის ჩართული სწავლის უწყვეტ პროცესში. იგი გამოსცემს სასწავლო მასალებს, ბეჭდავს სახელმძღვანელოებს, სალექციო, საკითხავ ან სასწავლო მასალას და ა.შ. აკადემიის ბიბლიოთეკა ასევე მოიცავს მთარგმნელობით მომსახურებას, რომლის საშუალებითაც ითარგმნება დოკუმენტები, სახელმძღვანელოები, საკითხავი მასალა, დიპლომები და სასწავლო პროცესისთვის საჭირო სხვა რესურსები ქართულიდან ინგლისურად და პირიქით.<br>ეროვნული თავდაცვის აკადემიას აქვს წვდომა შემდეგ ელექტრონულ რესურსებზე:<br>• Cambridge Journals Online (https://www.cambridge.org/core) (კემბრიჯის ონლაინ ჟურნალები)<br>• e-Duke Journals Scholarly Collection (https://www.dukeupress.edu/) - ე-დიუკ ჟურნალების მკვლევართა კოლექციები<br>• Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books ედუარდ ელგარის საგამომცემლო ჟურნალები და განვითარების კვლევების ელექტრონული წიგნები (https://www.elgaronline.com/page/70/journals)<br>• ედუარდ ელგარის საგამომცემლო ჟურნალები |

- ევროპული რესპირატორული ჟურნალი
- IMechE Journals - IMechE ჟურნალები
- მათემატიკური მეცნიერებების საგამომცემლო ჟურნალები
- Openedition-ის ჟურნალები
- სამეფო საზოგადოების ჟურნალების კოლექცია (https://royalsociety.org/journals/)
- SAGE-ის ჟურნალები

ბიბლიოთეკის რესურსებს უზრუნველყოფს თავდაცვის სამინისტრო. გარდა ამისა, თვითონ აკადემიამაც შეიძინა გარკვეული რესურსები. ზოგიერთი წიგნი მოძველებულია და კარგი იქნება მათი განახლება.

ბიბლიოთეკის პერსონალს აქვს შესაბამისი კომპეტენცია. ისინი მუდმივად არიან ჩართულნი პროფესიული განვითარების აქტივობებში, როგორიცაა ციფრული კატალოგიზაცია, ელექტრონული მიმოქცევა, ელსევიერის მონაცემთა ბაზის გამოყენება და ა.შ.

ბიბლიოთეკარს აქვს წვდომა ელექტრონულ რესურსებზე და ყველა საკანონმდებლო აქტი გადმოწერილია მის კომპიუტერში. მოთხოვნის შემთხვევაში მას შეუძლია მიაწოდოს იუნკერს/კადეტს შესაბამისი ინფორმაცია. მაგრამ აუდიტის დროს საკანონმდებლო აქტის ჩვენების მოთხოვნით ბიბლიოთეკარმა აჩვენა მოძველებული აქტი, რომელიც არეგულირებს სამხედრო ძალების მუშაობას. ვინაიდან ბიბლიოთეკარს არ აქვს წვდომა საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან და გასაუბრებისას აღმოჩნდა, რომ წვდომა მხოლოდ იურიდიულ განყოფილებას აქვს, აუცილებელია იურიდიულ დეპარტამენტს ჰქონდეს ეროვნული თავდაცვის აკადემიის საქმიანობასთან დაკავშირებული სამართლებრივი აქტების მოქმედების გაკონტროლების პროცედურა და სისტემატურად უზრუნველყოს ბიბლიოთეკა განახლებული ინფორმაციით.

ბიბლიოთეკას არ აქვს სპეციალური საჭიროების/შშმ პირებისთვის ადაპტირებული ფართი, რადგან ისინი აღნიშნავენ, რომ მათ არ ჰყავთ ასეთი პერსონალი. თუმცა ბიბლიოთეკას უნდა ჰქონდეს ასეთი ადგილი.

ბიბლიოთეკას არ აქვს საევაკუაციო გასასვლელები და ნიშნები. რეკომენდებულია ბიბლიოთეკის უზრუნველყოფა ავარიული გასასვლელებით და შესაბამისი სპეციალური ნიშნების განთავსება.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბიბლიოთეკის დებულება;
- წიგნების ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ელექტრონული კატალოგი - www.eta.edu.ge;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ბიბლიოთეკაში არსებული ტექნოლოგიის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ბიბლიოთეკის ელექტრონული მონაცემების გამოყენებასთან დაკავშირებული სტატისტიკა;
- ბიბლიოთეკაში რესურსებისა და სერვისების განახლებისა და განვითარების ინსტრუმენტები;
- ბიბლიოთეკის გამოყენებასთან დაკავშირებული ინსტრუქციები და რეგულაციები;
- აკადემიის მიერ ჩატარებული გამოკითხვისა და გასაუბრების შედეგები;

- ბიბლიოთეკის რესურსების განვითარების დინამიკა 5 წლის განმავლობაში - დანართი N 7.2.3.

**რეკომენდაციები:**

- ბიბლიოთეკარმა და ყველა პასუხისმგებელმა პირმა უნდა მიიღოს განახლებული კანონმდებლობა ან მიეცეთ წვდომა მონაცემთა ბაზაზე, რათა უზრუნველყონ სტუდენტები კანონმდებლობის განახლებული ვერსიებით.

**რჩევები:**

არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

**შეფასება**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 7.3 საინფორმაციო რესურსები

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მათი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ უზრუნველყოფს ბიზნეს პორცესების უწყვეტობას.
- უსდ-ს აქვს მოქმედი ვებ-გვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

აკადემიას გააჩნია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, რომელსაც ადმინისტირებას უწევს G-6 სამსახურის დეპარტამენტი. შტაბის სამსახურები პასუხისმგებელნი არიან კომპიუტერული ტექნოლოგიების, პროგრამებისა და ინტერნეტის ფუნქციონირების მხარდაჭერასა და ზედამხედველობაზე. აკადემიის საბჭო ადგენს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინოვაციების კონტროლის პოლიტიკას, რომელიც ხელს უწყობს ყველა პროცედურის დარეგულირებას საინფორმაციო სისტემებით და ელექტრონული სერვისებით და უზრუნველყოფს მათ განვითარებას.

აკადემიას აქვს მუდმივი და უწყვეტი ინტერნეტი. ყველა აუდიტორიაში არის ინტერნეტის ქსელი, პროგრამირების დახმარება. ასევე ფუნქციონირებს საგამოცდო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს გამოცდების გამჭვირვალე და ეფექტურ პროცესს. სისტემას აქვს შესაძლებლობა, გასაჩივრების შემთხვევაში ჩაწეროს მთელი საგამოცდო პროცესი, რათა გამოიტანოს ობიექტური გადაწყვეტილება. აკადემიას აქვს კომპიუტერზე დაფუძნებული ბიბლიოთეკა, Cisco-ის პროგრამირება და ქსელების ლაბორატორიები, ფიზიკის, ქიმიის და ელექტრონული ლაბორატორიები, პროექტორები და სმარტ დაფები, რომლებიც დამონტაჟებულია საკლასო ოთახებში. G-6 სამსახური ითვალისწინებს თანამედროვე, საგანმანათლებლო პროგრამების და განახლებული კომპიუტერული კლასების, ლაბორატორიებისა და სხვა სივრცეების მოთხოვნას. აკადემია თითოეულ იუნკერს

უზრუნველყოფს პერსონალური კომპიუტერით, ხოლო G-6 პასუხისმგებელია კომპიუტერულ სერვისზე და განახლებებზე. ლეპტოპები იუნკერებს გადაეცემათ მათ პირად საკუთრებაში. ასევე, აკადემიის მიერ უზრუნველყოფილია ყველა ტექნიკური დახმარება შესაბამისი პროგრამებისა და მონაცემთა ბაზების ატვირთვის ჩათვლით.

აკადემიას აქვს როგორც უსადენო, ასევე საკაბელო ინტერნეტი, რათა უზრუნველყოს ყველა სახის ინტერნეტი აკადემიის ტერიტორიაზე. თავდაცვის სამინისტროს სერვერები მართავს აკადემიის შიდა ქსელს სტატიკური დიაპაზონიდან. მეორე მხრივ, უკაბელო ქსელში IP მისამართები იწერება როუტერებში, რომლებიც მისამართს ავტომატურად აწარმოებენ. კორესპონდენტებს, რომლებიც იყენებენ გლობალურ ქსელს, აქვთ წვდომა ვებგვერდების კატეგორიების შეზღუდულ რაოდენობაზე. მომხმარებლები შედიან თავდაცვის სამინისტროს დომენში. G-6 სამსახურის მთავარი სპეციალისტი ზედამხედველობს ქსელის სრულ ფუნქციონირებას და სერვერების სარეზერვო ასლი ინახება G-6-ში, სადაც არის სპეციალური სერვერის ოთახი სტანდარტების დაცვით. ასევე სერვერების სარეზერვო ასლები კეთდება თავდაცვის სამინისტროს სერვერებზე.

აკადემიას აქვს ვებგვერდი, სადაც განთავსებულია მთელი ინფორმაცია აკადემიის ადმინისტრაციისა და პერსონალის, ორგანიზაციული სტრუქტურის, ვაკანსიების, საგანმანათლებლო პროგრამების, ბიბლიოთეკის, სტრატეგიული და მარეგულირებელი დოკუმენტების, ნორმატიული და საკანონმდებლო აქტების შესახებ და ა.შ. ვებგვერდი არის ქართულ და ინგლისურ ენებზე. ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია ასახავს აკადემიის საქმიანობის სრულ სურათს. ვებგვერდის ტექნიკური დახმარება თავდაცვის სამინისტროს მხარდაჭერით ხორციელდება.

აკადემიას აქვს კარგად განვითარებული სასწავლო პროცესი. სასწავლო პროცესის მართვისთვის გამოიყენება ILIAS-ის პროგრამა. სისტემა იუნკერებს აწვდის აუცილებელ რესურსებს, მათ შორის კურსების სილაბუსს, ინფორმაციას გაცვლითი პროგრამების, საკანონმდებლო დოკუმენტებისა და წესების შესახებ, გამოცდების განრიგს, საგანმანათლებლო პროგრამებს, სასწავლო წლის გეგმას, სტიპენდიის კრიტერიუმებს, ელექტრონულ ლიტერატურას და სხვა მნიშვნელოვან ინფორმაციას. სტუდენტს, რომელიც ბაკალავრიატზე სწავლობს, აქვს წვდომა ILIAS-ის პროგრამაზე და სრულ ინფორმაციას იღებს ამ პლატფორმის საშუალებით. სტუდენტებს, რომლებიც გადიან სამაგისტრო პროგრამას, აქვთ წვდომა MOODLE-ის პროგრამაზე და იღებენ ყველა საჭირო ინფორმაციას ამ პლატფორმის საშუალებით.

ასევე, გარდა ILIAS-ის სისტემისა, სადაც ლექტორები ტვირთავენ სტუდენტებისთვის საჭირო ყველა ინფორმაციას, პერსონალს აქვს საკუთარი შიდა ქსელი (e-flow), რომელიც დაკავშირებულია თავდაცვის სამინისტროსთან. ყველა შენიშვნა და საჭირო ინფორმაცია ეგზავნება მათ ამ პლატფორმის მეშვეობით და ასევე არის სარეზერვო ასლი მათ პირად ელფოსტაზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები, საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა;
- დისტანციური სწავლების ცენტრის რეგულაცია;
- დისტანციური სწავლების ცენტრის კონცეფცია;
- აკადემიის G-6 სამსახურის პერსონალის დებულება;
- ხელშეკრულება ინტერნეტ პროვაიდერებთან;

- დომენი, ჰოსტინგის საკუთრების დოკუმენტაცია;
- კონტრაქტი/მიღება-ჩაბარების ხელშეკრულება ყველა შეძენილ მომსახურებასთან დაკავშირებით (Turnitin და ა.შ.);
- უსდ-ის ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები და მოვალეობები;
- Emod-ის ადმინისტრირების წესი;
- კომპიუტერული უსაფრთხოების ინციდენტის მართვის წესი;
- ელექტრონული მომსახურების და ელექტრონული მართვის სისტემების განვითარების მექანიზმები;
- ვებგვერდი www.eta.edu.ge
- ინტერვიუები პერსონალთან და სტუდენტებთან;
- ადგილზე შემოწმება.

**რეკომენდაციები:**

რეკომენდაცია ან შეთავაზება, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

**რჩევები:**

არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, მონიშნოთ უჯრედი, რომელიც ყველაზე უკეთ აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კომპონენტის მიმართ პროგრამის შესაბამისობასთან დაკავშირებით.

☒ სრულად შეესაბამება მოთხოვნებს

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**7.4 ფინანსური რესურსები**

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია.
- უსდ-ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული და შუალედური სამოქმედო გეგმების ფარგლებში აღწერილი საქმიანობების შესრულებას.
- უსდ-ის ფინანსური რესურსები ფოკუსირებულია დაწესებულების ძირითადი აქტივობების ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირების/განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ს გააჩნია ანგარიშგების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

აკადემია არის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი. „სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აკადემია არის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ქვეპროგრამა (29 02 02 – სამხედრო განათლება), მისი დაფინანსების ძირითადი წყარო სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებია.

აკადემიის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს შემდეგი:

ა) შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;

ბ) გრანტებიდან მიღებული შემოსავლები;

გ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;

დ) შემოწირულობები;

ე) კანონით ნებადართული სხვა შემოსავლები.

რექტორის მოადგილე – აკადემიის შტაბის უფროსი პასუხისმგებელია აკადემიის ფინანსურ-ეკონომიკურ ურთიერთობებზე და მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე, ასევე პასუხისმგებელია საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე. აკადემიის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა შესაძლებელია სასწავლო პროცესის გასაგრძელებლად. პროგრამისთვის ხელმისაწვდომი რესურსები აკმაყოფილებს პროგრამის მოთხოვნებს.

აკადემიის ბიუჯეტი შედგენილია აკადემიის საჭიროებების შესაბამისად და ითვალისწინებს სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამოქმედო გეგმის მიზნებსა და ამოცანებს. ბიუჯეტის შედგენაში მონაწილეობას იღებენ აკადემიის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები. ისინი მოთხოვნების შესახებ ინფორმაციას წარუდგენენ აკადემიის შტაბის G-4 სამსახურს და ფინანსების მართვის სამმართველოს, რომელიც მიღებული ინფორმაციის საფუძველზე და პრიორიტეტების შესაბამისად განსაზღვრავს ბიუჯეტის პროექტს.

ბიუჯეტში შედის არსებული აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის ანაზღაურება, პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებების, კვლევითი პროექტების, მოკლევადიანი და გრძელვადიანი გაცვლითი პროგრამების დაფინანსება, ლიტერატურისა და ლაბორატორიებისთვის საჭირო ყველა აღჭურვილობის შეძენა, ასევე სამედიცინო დახმარება. ის ასევე მოიცავს კონფერენციებსა და ვორქშოფებში მონაწილეობის დაფინანსებას. აკადემიამ შექმნა კომისია, რომელიც განიხილავს შემოსულ კორესპონდენციებს აკადემიის პერსონალის სოციალურ, სამედიცინო და ფინანსურ დახმარების შესახებ, და სხვა საკითხებთან ერთად განიხილავს სოციალურად დაუცველ იუნკერთა დახმარებას. 2019 წლის 1 იანვრიდან 2021 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით სოციალურად დაუცველ იუნკერებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება ჯამური 8584 ლარის ოდენობით გაიცა.

აკადემია ყოველთვიურად იხდის მოხმარებული ბუნებრივი აირის გადასახადს ქვითრებისა და ინვოისების საფუძველზე. აკადემიის მიერ ყოველთვიურად მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულებას იხდის თავდაცვის სამინისტრო, ხოლო აკადემიას წყალი არტეზიული ჭაბურღილიდან მიეწოდება.

აკადემია ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშს წარუდგენს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს. ასევე, თავდაცვის სამინისტრო კვარტალურად იღებს ინფორმაციას თანამშრომელთა რაოდენობისა და გარკვეული ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ.

აკადემიის ბიუჯეტი ითვალისწინებს სამეცნიერო კვლევების დაფინანსებას, კერძოდ: სამეცნიერო კონფერენციების მოწყობას, აკადემიური პერსონალის სახელმძღვანელოების ბეჭდვას, ასევე პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისა და მივლინებების დაფინანსების ხარჯებს და ა.შ.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს აკადემიის მიერ ავტორიზებული (სერტიფიცირებული ან აკრედიტებული) აუდიტორების მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშების შემოწმებას და შესაბამისი ანგარიშის მომზადებას. უფლებამოსილი

(სერტიფიცირებული ან აკრედიტებული) აუდიტორების მიერ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაზე შედგენილი დასკვნები ინახება (მატერიალური ფორმით) ფინანსების მართვის სამმართველოში.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- აკადემიის ბიუჯეტი 2021 წ.;
- 2022 წლის ბიუჯეტი;
- აკადემიის წესდება;
- წინა წლების დაგეგმილი ფინანსების დინამიკა;
- აუდიტორული კომპანიების დასკვნები;
- ფინანსური მენეჯმენტისა და კონტროლის სისტემის განხორციელების დოკუმენტი.

**რეკომენდაციები:**

წინადადება (წინადადებები), რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების შესასრულებლად.

**რჩევები:**

არასავალდებულო რჩევები შემდგომი განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

პრაქტიკა, რომელიც განსაკუთრებით ეფექტურია და შესაძლოა გახდეს ორიენტირი ან მოდელი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის

**შეფასება**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან